



## ფლოტა ადღვობის ბრწყინვალე დღესასწაულს

### ახალი ამბები

83 2-7

ოთარ შამუგია ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) 100 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ მინისტერიალზე სიტყვით გამოვიდა



ფრანკესკო ლოლობრიჯიდა: „საქართველომ აირჩია სწორი გზა, როდესაც ღვინის წარმოების კუთხით აქცენტს გააკეთა ხარისხზე და არა რაოდენობაზე“

ბრიუსელში, საქართველოს WWTC-ის თავმჯდომარეობის ერთწლიანი პერიოდი დადებითად შეფასდა



ოთარ შამუგია: „მნიშვნელოვანია, მხარში დავდგეთ ჩვენს ფერმერებს, ერთწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაში“

მთავრობამ „შელავათიანი აგროკრედიტის“ პროექტში ცვლილებები დაამტკიცა

აგროდაბლვევის პროგრამის ფარგლებში დასაბლვევი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გაიზარდა

„გურიის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის პირველი მოსმენით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა წარუდგინა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის საკითხზე საჯარო განხილვა გაიმართა

სურსათის ეროვნული სააგენტო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტებს ამოწმებს

ზურაბ ჩეკურაშვილმა გურიის, სამეგრელოსა და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულებთან და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან სამუშაო შეხვედრები გამართა



ნინო თანდილაშვილი: „კლიმატის ცვლილება არ არის საზოგადოების ცალკეული ნაწილის გამოწვევა, ეს საყოველთაო პრობლემაა და მასთან გამკლავება ერთიან ძალისხმევას საჭიროებს“

ერთგვარად გამოყენების პლასტიკის ალტერნატივებზე გადასვლის საკითხზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა

ნინო თანდილაშვილმა, ბრიუსელში ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და გადართობის საკითხებში გენერალური დირექტორატის სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა

ევროკავშირმა საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემული თევზჭერის სერტიფიკატები ოფიციალურად აღიარა

ოთარ შამუგია: „სახელმწიფოს მხარდაჭერის შედეგად ლურჯი მოცვი ჩვენი ფერმერების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო გახდება“

თევზ ნასარძი: „სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციის ჯამრმა მოცულობამ 7,64 მილიარდ ლარს გადააჭარბა“

გბდ-ის თანამშრომლებმა 2024 წლის 3 თვეში 2 927 გარემოსდაცვითი სამართალდარღვევა გამოავლინეს

### ქართული ღვინო

83 8-9


ქობულას ჭყვინტილის ზონაში დაბრუნდა ადგილობრივი სოფელი კვების ჯაშუბი

გერმანიაში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა



აშშ-ში, TEXSOM-ის ღვინის საერთაშორისო კონკურსში ქართულმა ღვინოებმა უმაღლესი კილდოები მოიპოვეს

ჩინეთში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა



საფრანგეთში, ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე, ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი

### წარმატების ისტორიები

83 10

ენერგოეფექტური ღუმელების საწარმო ღუმელის მუნიციპალიტეტში

ჩირის საწარმო მცხეთის მუნიციპალიტეტში

ჩაის საწარმო მცხეთის მუნიციპალიტეტში

ქვემო ქართლში, 4075 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება

საქართველოს მელიორაციაზე ზედა რუს მაგისტრალური არხის განმუშავებით სამუშაოები დაასრულა

### წარმატების ისტორიები

83 11

თუკლე ზაკალაშვილი მცენარეთა მიკროკლონური (in vitro) გამრავლებისა და უვირუსო სარგავი მასალის კვლევის სამსახურის უფროსი



სვეტლანა ნიორაძე გარემოს ეროვნული სააგენტოს პიდრომეტეოროლოგიური პროგრამების სამმართველოს უფროსი, სინოპტიკოსი



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო ექსპერტ პეტრა ენგელს შუხვდა



### განათლება


83 12



გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი აქტიურად მუშაობს საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრორული განათლების ხელშეწყობისა და ცნობიერების დონის ამაღლების მიმართულებით

### დაცული ტერიტორიები

83 13



### სასარგებლო რჩევა

83 14



### გარემოს დაცვა

83 15




ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის გეგმით გათვალისწინებული საინვენტარიზაციო სამუშაოები დაიწყო

### ბიომრავალფეროვნება

83 16

საქართველოს ბიომრავალფეროვნება







### ოთარ შამუგია ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) 100 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ მინისტრიალზე სიტყვით გამოვიდა



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, იტალიის რესპუბლიკაში, ქალაქ ბრეშაში ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ორგანიზებით გამართულ მინისტრიალში მონაწილეობდა, რომელსაც 40-მდე ქვეყნის მინისტრები და მაღალი თანამდებობის პირები ესწრებოდნენ.



ოთარ შამუგიამ სიტყვით გამოსვლისას ბოლო 10 წლის განმავლობაში მეღვინეობის დარგში მიღწეულ პროგრესზე გაამახვილა ყურადღება. ასევე, აღნიშნა, რომ საქართველო აღნიშნულ მინისტრიალზე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსით მონაწილეობს და ეს არის ჩვენი ქვეყნის ღირსეული წარმატება. წელს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია დაარსების 100 წლის იუბილეს სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნავს. მათ შორის, აღსანიშნავია, ქალაქ ბრეშაში მიმდინარე მინისტრიალი, რომელიც OIV-მ პირველად გამართა. ღვინის მწარმოებელი ქვეყნების წარმომადგენლები ერთად მსჯელობდნენ მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის აქტუალურ პრიორიტეტებზე, მათ შორის, მდგრადი წარმოების პრაქტიკების დანერგვაზე, საწარმო მასალის გენეტიკური მრავალფეროვნებასა და კლიმატის ცვლილებების გავლენაზე ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისას; ღვინის მწარმოებელი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად

რჩება ახალი საბაზრო შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსი და, რა თქმა უნდა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ღვინის ღირებულებებისა და მისი ტრადიციების შესახებ, რამაც უნდა უზრუნველყოს ხარისხიან ღვინოზე უწყვეტი მოთხოვნა.

საქართველოს თანამშრომლობა ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (OIV), რაც რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. OIV-ის მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ფორუმს საქართველომ ორჯერ უმასპინძლა - 1962 წელს 33-ე საერთაშორისო კონგრესს და 2010 წელს OIV-ს მე-8 გენერალურ ასამბლეას.

იტალიის რესპუბლიკაში გამართულ მინისტრიალს, მინისტრთან ერთად, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მუხუზა და ქალაქ მილანში საქართველოს გენერალური კონსული ნატალია კორძაია ესწრებოდნენ.

### ფრანკესკო ლოლობრიჯია: „საქართველომ აიჩინა სწორი გზა, როდესაც ღვინის წარმოების კუთხით აქსენტი გააქცია ხარისხზე და არა რაოდენობაზე“



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია იტალიის რესპუბლიკაში, ქალაქ ბრეშაში, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) მიერ გამართულ მინისტრიალში მონაწილეობდა.

„საქართველო ჩვენთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია, რომელთანაც ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაღრმავოთ თანამშრომლობა კონკრეტული ბაზრების ათვისებისა და ხარისხიანი წარმოების მიმართულებით. საქართველომ აიჩინა სწორი გზა, როდესაც ღვინის წარმოების კუთხით აქცენტი გააკეთა ხარისხზე და არა რაოდენობაზე. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მზაობას, აქტიურად ვითანამშრომლოთ საქართველოსთან, როგორც ღვინის წარმოების, ისე სხვა სექტორებში“, - განაცხადა ფრანკესკო ლოლობრიჯიამ.

აღსანიშნავია, რომ წელს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციამ დაარსების 100 წლის იუბილეს სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნა. მათ შორის, აღსანიშნავია, ქალაქ ბრეშაში გამართული მინისტრიალი, რომელსაც, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მუხუზა და ქალაქ მილანში საქართველოს გენერალური კონსული ნატალია კორძაია ესწრებოდნენ.



### ბრიუსელში, საქართველოს WWTC-ის თავმჯდომარეობის ერთდღიანი პერიოდი დადებითად შეფასდა



ბელგიის სამეფოს დედაქალაქ ბრუსელში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTC) შეხვედრაზე, საქართველოს თავმჯდომარეობის ერთდღიანი პერიოდი და მიღწეული შედეგები, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მხრიდან დადებითად შეფასდა.

ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა და სავაჭრო ბარიერების მოხსნისათვის ერთობლივი ქმედებების განხორციელება.

„ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს თავმჯდომარეობა შეფასდა დადებითად. შეხვედრაზე გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელზეც გაიმართა მსჯელობა და დაისახა ერთობლივი ღონისძიებები ქვეყნებს შორის ღვინით ვაჭრობის გაუმჯობესებისთვის, რომელიც ეხება არა მხოლოდ ორგანიზაციის წევრ, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებსაც. განვიხილეთ სავაჭრო ბარიერების მოხსნის სტრატეგია, რაც ხელს შეუწყობს

ქართული ღვინის გლობალურ ღვინის ბაზარზე დამკვიდრებას და ბაზრების დივერსიფიცირებას“, - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მუხუზამ.

შეხვედრის გახსნას, საქართველოს დელეგაციასთან ერთად, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში, ევროკავშირთან საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ვახტანგ მახარობლიშვილი დაესწრო, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTC) წევრ ქვეყნებთან ერთად (საქართველო, აშშ, არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ურუგვაი) შეხვედრას დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსით, დიდი ბრიტანეთის დელეგაციაც დაესწრო.

„მოხარული ვართ საქართველოს ერთდღიანი თავმჯდომარეობის პერიოდით. WWTC-ის წევრი ცხრავე ქვეყანა დიდ სარგებელს იღებს ჯგუფის მუშაობით. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩვენ მივაღწიეთ მნიშვნელოვან პროგრესს მთელ რიგ საკითხებში, რაც, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ღვინით, როგორც სოფლის

მეურნეობის ღირებულებით პროდუქტით ვაჭრობას, სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყნებს ექსპორტისა და ღვინით ვაჭრობის გაფართოებით“, - აღნიშნა ამერიკის დელეგაციის წევრმა ჩარლზ ჯეფერსონმა.

ჯგუფის ორდღიანი მუშაობის ფარგლებში, გაიმართა მსჯელობა სავაჭრო ბარიერებზე, საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივების და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის საკითხებზე, შეფუთვისა და მარკირების სტანდარტებზე, ასევე განხილული იყო ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) რეზოლუციები, ევროკავშირის რეგულაციები ღვინის ინგრედიენტების ეტიკეტირებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 1 ივნისიდან WWTC-ს თავმჯდომარე ქვეყანა ავსტრალია ხდება.

„საქართველომ მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა ჯგუფის თავმჯდომარეობით და ჩვენ ნამდვილად ვაფასებთ მის მიერ ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში გამოვლენილ ლიდერობას. ავსტრალია არის მომავალი თავმჯდომარე და მოუთმენლად ელის, რომ დაეფუძნოს საქართველოს წარმატებებსა და ქმედებებს“, - აღნიშნა ავსტრალიის დელეგაციის წევრმა პოლ დენმა.



ოთარ შამუგია: „მნიშვნელოვანია, მხარში დავუდგეთ ჩვენს ფერმერებს, ერთნლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაში“



„ჩვენ წელსაც, როგორც გასულ წელს, მივცემთ საშუალებას ფერმერებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ერთნლოვანი კულტურების მოყვანით, აიღონ სესხი ერთნლოვანი კულტურების მოსაყვანად; დავაფინანსებთ 1 წლის განმავლობაში 9%-ის ოდენობით საპროცენტო განაკვეთს; სესხის მაქსიმალური ოდენობა იქნება 100,000 ლარი. მნიშვნელოვანია, მხარში დავუდგეთ ჩვენს ფერმერებს, ერთნლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაში“ , -

განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მედიასთან გამართულ შეხვედრაზე.

მინისტრმა მეტხილვე ფერმერების მხარდაჭერის შესახებაც გააკეთა განცხადება. აღსანიშნავია, რომ თხილის პირველადი წარმოების ქვეკომპონენტში ფინანსდება 3 ჰა მეტი ფართობის თხილის ბაღებში მოსავლის მოყვანის ყველა ხარჯი, 1 ჰა-ზე არაუმეტეს 3000 ლარი; სესხის მოცულობა 5 000-დან მაქსიმალური თანხა 300 000 ლარი, თანადაფინანსების ვადაა 12 თვე, თანადაფინანსების პროცენტი - 8%.

მთავრობამ „შელავთიანი აგროკრედიტის“ პროექტის რამდენიმე ქვეკომპონენტში ცვლილებები შევიდა.

საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, „შელავთიანი აგროკრედიტის“ პროექტის რამდენიმე ქვეკომპონენტში ცვლილებები შევიდა.

სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა ფერმერებისა და აგრობიზნესში ჩართული პირების საჭიროებების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ პროექტი მეტად მორგებული იყოს სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების მოთხოვნებს და არსებულ გამოწვევებს.

პროექტის ახალი რედაქციით 2024 წელს, გასული

წლების მსგავსად ამოქმედდა ქვეკომპონენტები - ერთნლოვანი კულტურების დაფინანსებისათვის და თხილის პირველადი წარმოების დაფინანსებისათვის; ქვეკომპონენტებში - ახალი მრავალწლოვანი კულტურების გაშენებისათვის და მესაქონლეობის მიმართულებით არსებულ ქვეკომპონენტებში დაბუსტდა პირობები.

ერთნლოვანი კულტურების ქვეკომპონენტში ფინანსდება ერთნლოვანი კულტურების მოსავლის მოყვანის ყველა ხარჯი. სესხის მოცულობა - 10 000 - 100 000 ლარი, თანადაფინანსების ვადა - 12 თვე, თანადაფინანსების პროცენტი - 9%.

თხილის პირველადი წარმოების ქვეკომპონენტში ფინანსდება 3 ჰა მეტი ფართობის თხილის ბაღებში მოსავლის მოყვანის ყველა ხარჯი (1 ჰა-ზე არაუმეტეს

3000 ლარი); სესხის მოცულობა - 5 000 - 300 000 ლარი, თანადაფინანსების ვადა - 12 თვე, თანადაფინანსების პროცენტი - 8%.

მერძეული, მეხორცეული, კომბინირებული მიმართულებისა და სანაშენე ფერმის დაფინანსებისთვის წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, ბენეფიციარს ექნება ვალდებულება უზრუნველყოს სესხის თანადაფინანსების მოქმედების პერიოდში მეხორცეული მიმართულების შემთხვევაში - ერთ სულზე არანაკლებ 1 ჰა საძოვრის ან/და არანაკლებ 0,5 ჰა სახნავის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებობა.

აღსანიშნავია თხილის პირველადი წარმოების დაფინანსებისთვის ქვეკომპონენტში შესული ცვლილება,

რომლითაც ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხის ზედა ზღვარი გაიზარდა და განისაზღვრა 5 000 ლარიდან 300 000 ლარის ჩათვლით, ასევე თხილის პირველადი წარმოებისთვის მაქსიმალური სესხის მოცულობა, 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით, გაიზარდა და განისაზღვრა არაუმეტეს 3 000 ლარით.

„შელავთიანი აგროკრედიტის პროექტს“ სოფლის განვითარების სააგენტო 10 წელიწადზე მეტია ახორციელებს. პროექტის ძირითად ამოცანებს ფერმერების და აგრობიზნესში ჩართული პირების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვარეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება წარმოადგენს.

მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის დასახლებებში მცხოვრები პირების მიერ შესაძენი მცირე ზომის (7 ცხ.დ-დან) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 70%, თანადაფინანსების ლიმიტი განსხვავებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმძლავრეების მიხედვით და არ აღემატება 2500 ლარს.

მიწის ნაკვეთები, მაღალია მოთხოვნა ხელის ტრაქტორებზე (მოტობლოკებზე). ახალი სახელმწიფო პროგრამაც სწორედ ფერმერთა ამ საჭიროებების გათვალისწინებით შეიქმნა.

ახალი პროგრამით დაფინანსება შეუძლია მიიღოს მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა, რომელსაც მაღალმთიან დასახლებებში საკუთრებაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირების მიერ შესაძენი მცირე ზომის (7 ცხ.დ-დან) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 70%, თანადაფინანსების ლიმიტი განსხვავებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმძლავრეების მიხედვით და არ აღემატება 2500 ლარს.

სახელმწიფოს თანადაფინანსებით მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენას ფერმერები 2024 წელსაც შეძლებენ. განაცხა-

დების მიღება უკვე დაიწყო.

აგრარული მიმართულებით მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შედეგად, ყოველწლიურად იზრდება მსხმოიარობაში შესული ბაღების რაოდენობა, რაც ზრდის მოსავლის ამღებ ტექნიკაზე მოთხოვნას. სახელმწიფოს მიზანია, მეტი ფერმერის და აგრობიზნესში ჩართული პირისათვის იყოს ხელმისაწვდომი მოსავლის ამღები თანამედროვე ტექნიკა, რაც უზრუნველყოფს აგროვადების გათვალისწინებით მოსავლის აღებას და, შესაბამისად, მაღალი ხარისხის შენარჩუნებას. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში თანამედროვე ტექნიკის გამოყენების საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა მოსავლის აღების პროცესს უფრო ოპერატიულს და ეფექტიანს გახდის.

მიმდინარე წელს გაზრდილია მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის ჯამური ბიუჯეტი. გასულ წელს, გამოყოფილი იყო 7 მლნ ლარი, წელს ეს თანხა 10 მლნ ლარია. იმ ფაქტის გათვალისწინებით,

რომ დიდია პროგრამით დაინტერესება, სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსების პროცენტულობა განისაზღვრა ღირებულების 30%-ით, მაგრამ არაუმეტეს 150, 000 ლარით. პროგრამის ახალი პირობით, თანადაფინანსებით ყურძნის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენაც შესაძლებელია.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტია თანამედროვე სტანდარტის აგროწარმოების განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, ხორციელდება არაერთი პროგრამა, მათ შორის, ფერმერებისათვის სხვადასხვა სიმძლავრის, ახალ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებით. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, ჯამში, 7500 ერთეული, 440 მლნ ლარზე მეტი ღირებულების, სხვადასხვა სიმძლავრის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და იმპლემენტებია შეძენილი. სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 122 მლნ ლარს აღემატება.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში დასაზღვევი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი გაიზარდა

საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა.

ცვლილებების თანახმად, გაიზარდა დასაზღვევი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის ფართობი - ნაცვლად 10 ჰექტარისა, ფერმერები შეძლებენ არაუმეტეს 20 ჰექტარის დაზღვევას; მარცვლეული კულტურის დაზღვევის

შემთხვევაში კი, ნაცვლად 50 ჰექტარისა, არაუმეტეს 100 ჰექტარს.

მცირდება, მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემთხვევაში, ზარალის შეფასების ვადები და ნაცვლად 21 დღისა, განისაზღვრება 15 დღით. ასევე, სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების ნაწილში იცვლება დაზღვევის მიერ მზღვეველისათვის სატელეფონო შეტყობინების ვადა და ნაცვლად 24 საათისა, განისაზღვრება 72 საათით; აღნიშნული ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ უფრო მეტი დრო ჰქონდეთ ფერმერებს სადაზღვევო შემთხვევის დროს შეტყობინების განხორციელებისთვის.

იცვლება ასევე სადაზღვევო ტარიფები; კერძოდ, ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფის ნაცვლად,

იქნება სადაზღვევო ტარიფის ქვედა და ზედა ზღვარი. აღნიშნული ცვლილება შესაძლებლობას მისცემს, ერთი მხრივ, სადაზღვევო კომპანიებს მომხმარებელს შესთავაზონ რისკზე დაფუძნებული ტარიფი და, მეორე მხრივ, დაზღვევებს სადაზღვევო პრემიის ოდენობის მიხედვით შეარჩიონ სადაზღვევო კომპანიები. აღნიშნული ცვლილება ასევე ხელს შეუწყობს პროგრამაში ჩართულ სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის გაზრდას.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პოლისის ფარავს ისეთ სადაზღვევო რისკებს, როგორებიცაა სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის - 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის

ჩათვლით პერიოდში). თითოეული დამზღვევი სადაზღვევო პოლისის პრემიის 70%-იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე.

2014 წლამდე არ არსებობდა მექანიზმი, რომლითაც ფერმერებს შეეძლოთ კლიმატური რისკებისგან დაცვათ საკუთარი მოსავალი. აგროდაზღვევის პროგრამის გაჩენით, დაზღვევა იმ ფერმერებისთვის გახდა ხელმისაწვდომი, ვისაც მცირე მეურნეობა აქვთ და ყველაზე მეტად სჭირდებოდა სახელმწიფოს თანადგომა. აგროდაზღვევის პროგრამა არის ინსტრუმენტი, რომლითაც უფრო პროგნოზირებადი ხდება სოფლის მეურნეობა და დაინტერესებული პირებისთვის უფრო მიმზიდველს ხდის დარგში ინვესტირებას.





„გურიის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს პირველი მოსმენით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ნინო თანდილაშვილმა წარუდგინა



ცენტრის მშენებლობა და ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, მიზიდულობის ცენტრი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი სიკეთის მომტანი გახდება“, - განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძემ დაცული ტერიტორიების დაარსების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დაცული ტერიტორიების სარგებელი კარგად გაიგო მოსახლეობამ და რომ ეს, გარდა ენდემური ბიომრავალფეროვნების დაცვისა, არის მეტი წილი ეკონომიკაში და მნიშვნელოვანი ნაბიჯები რეგიონების მეტად განვითარებისთვის. გურიის ეროვნული პარკის დაარსება მიზნად ისახავს გურიის ტყის ლანდშაფტებში არსებული გამოწვევების, კერძოდ, ადამიანის ზემოქმედებით მიღებული ზიანის შეჩერებას, ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ეკოსისტემის შენარჩუნებას.

ეროვნული პარკის შექმნა ხელს შეუწყობს ტური-სტული ნაკადების მოზიდვას დაცულ ტერიტორიებზე, ადგილობრივ მოსახლეობას კი, დამატებითი ეკონომიკური სარგებლის გაჩენის შესაძლებლობას მისცემს.

„დაცული ტერიტორიების განვითარება ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ბოლო 10 წლის განმავლობაში, ორჯერ გაზარდეთ დაცული ტერიტორიების ფართობი და პროცესი გრძელდება. დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის პროგრამის ოფისის მიერ, შვედეთის მთავრობის დაფინანსებით, განხორციელდა მნიშვნელოვანი სამუშაოები - ადგილზე ჩატარდა კვლევები, რათა გურიის ეროვნული

პარკის დასაარსებლად კანონპროექტი შეგვემუშავებინა; აქტიურად ვიმუშავებთ ადგილობრივ მოსახლეობასთან; გვქონდა საჯარო განხილვები მუნიციპალიტეტებში; ყველა სახელმწიფო უწყებასთან კონსენსუსის საფუძველზე შეკრებილი ვერსიით, ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, 15 310 ჰექტარ ფართობზე, გურიის ეროვნული პარკი დაარსდება; აქედან, მთლიანი ფართობის 92% - 14 141 ჰექტარი არის ტყის ტერიტორია, დანარჩენი ფართობი კი, ძირითადად, ალპური

მდელოებია. მოგეხსენებათ, დაცული ტერიტორიების დაარსება გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს და ამ ფონზე, უნდა აღვნიშნო, რომ ეროვნული პარკის ფარგლებში ტრადიციული საქმიანობა, სათიბი და საძოვრების გამოყენება არ იზღუდება. ეს იქნება პირველი ეროვნული პარკი გურიის ტერიტორიაზე და, ვფიქრობ, ასეთი ეროვნული პარკის შექმნა გურიის რეგიონისთვის, რეგიონული განვითარების კონტექსტში, ძალიან მნიშვნელოვანია. მომდევნო წლებში დაგეგმილი გვაქვს ადმინისტრაციის მშენებლობა, ვიზიტორთა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის საპროექტო საპროექტო განხილვა გაიმართა



შეხვედრაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი სამსახურების, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება მონაწილეობდა.

სამინისტროს წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს ჯუმათის სატყეო უბანში არსებულ 625ჰა ფართობზე სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს, სამომავლოდ ღონისძიებებზე იმსჯელეს და დასმულ კითხვებს უპასუხეს.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კარლო ამირგულაშვილმა აღნიშნა, ტერიტორიაზე, ერთი მხრივ, უნდა მოხდეს სახეობათა აღწარმოება და, მეორე მხრივ, დაინერგოს სწორი ნადირობის პრაქტიკა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სამონადირეო მეურნეობისთვის შერჩეული ტერიტორიის მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის ინიციატივა გამოთქვეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის საკითხზე მუშაობა ადგილობრივი თემისა და მონადირეების ინიციატივით დაიწყო. სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამოცხადებასთან დაკავშირებით, აქამდე საქართველოს მონადირეთა კავშირმა მიმართა.



სურსათის ეროვნული სააგენტო კანონპროექტისა და აგროქიმიკატების სარეგულირებო მოქმედებას ამოწმებს



სახელმწიფო კონტროლის პროგრამის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული 600-მდე ობიექტის შემოწმება დაგეგმილი.

შემოწმების დროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების წარმოების, დაფასების, მარკირების, შეფუთვის, შენახვისა და რეალიზაციის პირობებს.

გააქტიურებული კონტროლის მიზანია უზარისხო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მცენარეთა დაცვის საშუალებების რეალიზაციის აღკვეთა. ამავდროულად, მაღალი ხარისხის მოსავლის მისაღებად მნიშვნელოვანია, ფერმერებმა დროულად ჩაატარონ აგროსამუშაოები,

სწორად შეარჩიონ პრეპარატი და დაიცვან მისი გამოყენების დოზა და ვადები.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს შემოწმებული 600 ობიექტიდან დარღვევა გამოვლინდა 35-ში, გამოვლენულ 500-მდე ნიმუშში კი, 2 დარღვევა დაფიქსირდა.

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტებთან მიმართებაში, 2019 წლიდან გამკაცრდა საკანონმდებლო მოთხოვნები. სპეციალიზებული ობიექტის ფუნქციონირებისთვის სავალდებულოა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი წესით აღიარება, რაც გულისხმობს სანტიარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების და უსაფრთხოების წესების სრულად დაკმაყოფილებას.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გურამ ჩიკურაშვილმა გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში სახელმწიფო რეგულირებასთან და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან სამუშაო შეხვედრები გაიმართა

სააგენტოს უფროსმა ყურადღება გაამახვილა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებებით არსებულ იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომელთა დასაძლევად მჭიდრო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია.

„სურსათის ეროვნული სააგენტოს განსაკუთრებით პრიორიტეტულია საბავშვო ბაღებსა და სასწავლო დაწესებულებებში არსებული კვების ბლოკები, რადგან საქმე მომავალი თაობის ჯანმრთელობას ეხება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო წყლის ხარისხის მონიტორინგის მიმართულებითაც აქტიურად მუშაობს, ტარდება ლაბორატორიული კვლევა. მიმდინარე წელს დაგეგმილია სასმელი წყლის 850 სინჯის აღება“, - განაცხადა გურამ ჩიკურაშვილმა.

სამუშაო შეხვედრებზე განიხილეს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობის საკითხიც, რაც სახელმწიფო კონტროლის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და უფასოა; თუმცა, მიუხედავად ამისა, აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მუშაობა მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფად.

რაც შეეხება მცენარეთა დაცვის მიმართულებას, საგზააფხულო სამუშაოების დაწყებასთან ერთად, იზრდება მოთხოვნა მცენარეთა დაცვის საშუალებებზე, აგროქიმიკატებსა და პესტიციდებზე, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების ერთობლივ, შეთანხმებულ საქმიანობას, რათა მოსახლეობამ სრულად და შეუფერხებლად ისარგებლოს იმ სურვილებით, რასაც მათ სახელმწიფო სთავაზობს.



**ინოვაციური ტექნოლოგიები:  
„კლიმატის ცვლილება არ არის  
საზოგადოების ცდილები  
ნაწილის გამოწვევა, ეს  
საყოველთაო პრობლემაა და  
მასთან გამკლავება ერთიან  
ძალისხმევას საჭიროებს“**



დანიერგისკენ იქნება მიმართული.

**„რეგიონში საქართველო ლიდერია ეკონომიკური განვითარების მიმართულებით გატარებული რეფორმების კუთხით. ამიტომ, რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებაში მას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას საზიარო მდინარეები აქვთ, რაც მთავრობებს, წყალმომარაგების და სარწყავი სისტემების განვითარების უზრუნველსაყოფად, ერთად მუშაობისკენ უბიძგებს. USAID-ის წყლის მართვის პროგრამა სწორედ რეგიონული დიალოგის წარმართვას, ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს“, - აღნიშნა USAID-ის ეკონომიკური ზრდის ოფისის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ენი სტილმა.**

შეხვედრა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული „სამხრეთ კავკასიის რეგიონული წყლის მართვის პროგრამის“ და „მერების შეთანხმება აღმოსავლეთში“ ოფისის ორგანიზებით გაიმართა. მასში მონაწილეობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების და პროგრამის „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერჯეტიკისთვის“ მონაწილე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა მიიღეს.



კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის პროცესში წყლის რესურსების უსაფრთხოებისა და მდგრადი მართვის მნიშვნელობის საკითხებზე სამუშაო შეხვედრა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, USAID-ის ეკონომიკური ზრდის ოფისის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ენი სტილი და USAID-ის სამხრეთ კავკასიის რეგიონული წყლის მართვის პროგრამის (SCRWM) ხელმძღვანელი ერიკ ვილა ესწრებოდნენ.

ნინო თანდილაშვილმა კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის როლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მხარეების აქტიური ჩართულობის გარეშე კლიმატის ცვლილების პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება შეუძლებელია.

**„უკანასკნელ წლებში, წყლის რესურსების მდგრადი მართვის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რასაც, გასულ წელს, „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონის მიღება მოჰყვა. აღნიშნული კანონი სრულ თანხვედრაშია როგორც ეროვნულ საჭიროებებსა და გამოწვევებთან, ასევე, იმ ვალდებულებებთან, რაც საქართველოს ალბერტი აქვს საერთაშორისო შეთანხმებებით, ხელშეკრულებებითა და ასოციაციის დღის წესრიგით. კლიმატის ცვლილება არ არის საზოგადოების ცალკეული ნაწილის გამოწვევა, ეს საყოველთაო პრობლემაა და მასთან გამკლავება ერთიან ძალისხმევას საჭიროებს“, - განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.**

შეხვედრაზე საქართველოს წყლის რესურსების მართვის კანონის მნიშვნელობაზე იმსჯელეს და USAID-ის სამხრეთ კავკასიის წყლის მართვის რეგიონული პროგრამა წარადგინეს. პროგრამის მთავარი მიზანი რეგიონული სტაბილურობის და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეფექტიანი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება და წყლის მართვის ხელშეწყობაა. 5 წლიანი პროგრამის საგარეო ბიუჯეტი 20 მლნ აშშ დოლარია და ის ადგილობრივი თემების სტიმულირებისკენ და ახალი ტექნოლოგიების



**ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის აღდგენითი ღონისძიებები  
მადეასტის საკითხზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა**



ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის (ეგპ) გარემოსდაცვითი და ეკონომიკური კუთხით მისაღები ალტერნატივების საკითხი სახელმწიფო, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მონაწილეობა სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, ნორვეგიის ელჩის მოადგილე რებეკა ლი და გაროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში დაგლას უები.

სოლომონ პავლიაშვილმა ნორვეგიის მთავრობას ნარჩენების მართვის კუთხით გაწეული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ნარჩენების მართვის ეროვნული გეგმის შესრულების პროცესში დონორი ორგანიზაციების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

**„პლასტიკის ნარჩენების შემცირების კუთხით სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, მიუხედავად მაღალი ამბიციის კოალიციას, რომელიც 2040 წლისთვის პლასტიკის ნარჩენებით დაბინძურების დასრულებას ითვალისწინებს. ნარჩენების მართვაში ყველაზე დიდი გამოწვევა სწორედ პლასტიკის ნარჩენების შემცირებაა, ვინაიდან ის მთელი ნარჩენების 15-16% მოიცავს. იმისთვის, რომ ქვეყანა ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი გახდეს, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მწვანე ეკონომიკური ზრდა და ევროპის მწვანე შეთანხმების გზით სიარული“, - აღნიშნა სოლომონ პავლიაშვილმა.**

შეხვედრის ფარგლებში, კვლევის „პოლიტიკის შეჯამება: ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის ბაზარი, მაგალითები და რეკომენდაციები“ შედეგები წარადგინეს.

დოკუმენტი მოიცავს ევროდირექტივების იმპლემენტაციის წარმატებულ მაგალითებს, ასევე არსებულ გამოწვევებს და ზოგად რეკომენდაციებს პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურებისთვის.

**„პლასტიკით დაბინძურება გლობალური პრობლემაა, ეს საკითხი როგორც საქართველოში, ასევე ნორვეგიაში მწვავედ დგას. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მიმართულებით საქართველოში ძალიან ბევრი ნაბიჯი გადადგმული, საქართველო მაღალი ამბიციის კოალიციას შეუერთდა, შემუშავდა პლასტიკის პრევენციის ეროვნული პროგრამა. მდგრადი და მწვანე საქართველოს მისაღებად საჭიროა დრო, რესურსი და ენერჯია, ამიტომ, რაც უფრო მეტ დანერგვას ვხედავთ მხარეს ჩავრთავთ ამ პროცესში, მით**

უფრო გრძელვადიანი და მდგრადი შედეგი გვექნება. ჩვენ გავაგრძელებთ საქართველოს მხარდაჭერას, რათა შეამციროს პლასტიკით დაბინძურება, ეს ხელს შეუწყობს როგორც გარემოს დაცვას, ადამიანების ჯანმრთელობას, ასევე ეკონომიკურ კეთილდღეობას“, - აღნიშნა ნორვეგიის ელჩის მოადგილე, რებეკა ლი.

სამუშაო შეხვედრა გაროს განვითარების პროგრამის (UNDP) და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) ორგანიზებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ნორვეგიის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა.







**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ნინო თანდილაშვილმა, ბრიუსელში ევროკომისიის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში გენერალური დირექტორატის სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა**

შეხვედრის მონაწილეებმა ევროკომისიის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების საკითხებზე იმსჯელეს და დაგეგმილი აქტივობები განიხილეს.

**ნინო თანდილაშვილმა ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებებით საქართველოსთვის განულო მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და ევროკავშირის უწყვეტი თანადგომის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. მინისტრის პირველმა მოადგილემ ევროკომისიის წარმომადგენლებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.**

ევროკომისიამ საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები დადებითად შეაფასა და ქვეყნის შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოხატა.

ბრიუსელში გამართულ შეხვედრაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე, ევროკავშირში საქართველოს ელჩი ვახტანგ მასაროზიშვილი, საქართველოს შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლები და ევროკავშირის შესაბამისი გენერალური დირექტორატების ხელმძღვანელი პირები მონაწილეობდნენ.



Official Journal of the European Union

**ევროკავშირმა საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემული თევზჭერის სერტიფიკატები ოფიციალურად აღიარა**

ევროინტეგრაციის გზაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. 2024 წლის 2 აპრილს გამოქვეყნდა ევროკომისიის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ევროკავშირმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემული თევზჭერის სერტიფიკატები.

თევზჭერის სერტიფიკატების აღიარება საქართველოს მეთევზეობის დარგს დაეხმარება ევროკავშირის სტანდარტებთან კიდევ ერთხელ დაახლოებაში, კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და ქვეყანაში მალაღობის სტანდარტის თევზჭერის მეთოდების დანერგვაში.

აღსანიშნავია, რომ აღიარების შემდგომ, ქართველი მეწარმეებისთვის შესაძლებელი გახდება ზღვაში დაჭერილი ზღვის თევზისა და თევზჭერის პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტი, რაც, თავის მხრივ, საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

აღნიშნული აღიარება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბოლო წლების განმავლობაში შესაბამისი მიმართულებებით გატარებული რეფორმების შედეგია. ევროკავშირის რეგულაციების გათვალისწინებით და არსებულ საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის პრევენციის, გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით სამინისტრომ საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა. ქვეყანაში მოქმედებს ავტორიზაციისა და კონტროლის მექანიზმები; სამინისტრომ დაამტკიცა ქვეყნის სერტიფიკატის ფორმა და დარღვევებისთვის პასუხისმგებლობის ზომები დააწესა.

**ქართული ლურჯი მოცვი**  
გამომწვევა და პარსკაფიზაბი

**ოთარ შამუგია: „სახელმწიფოს მხარდაჭერის შედეგად ლურჯი მოცვი ჩვენი ფერმერების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო გახდება“**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ სამინისტროს ორგანიზებით და საქართველოს მოცვის მწარმოებელთა ასოციაციის მხარდაჭერით გამართული „ქართული ლურჯი მოცვის ფორუმი“ გახსნა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის, სოფლის განვითარების სააგენტოს, სავაჭრო პალატის წარმომადგენლებმა, საერ-

თაშორისო კონსულტანტებმა და საქართველოს მოცვის მწარმოებელთა ასოციაციის წევრებმა.

„ლურჯი მოცვის წარმოება არის ერთ-ერთი ნათელი და წარმატებული მაგალითი პროგრამის „დანერგე მომავალი“, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ამ კულტურის დაფინანსება დავიწყეთ. სახელმწიფოს ხელშეწყობით, ფერმერებთან ერთად, შევქელით 2800 ჰექტარამდე ბაღების გაშენება. გასულ წელს, 20 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების მოცვის ექსპორტი განვახორციელეთ. სულ რამდენიმე წლის წინ ეს მაჩვენებელი ნულის ტოლი იყო.“

იყო, რადგან ქვეყანაში ლურჯი მოცვის წარმოება არ გვექონდა. შემოვიდა სრულიად ახალი, არატრადიციული კულტურა, რომლის მოყვანაც ფერმერებმა დაიწყეს. მნიშვნელოვანია, რომ მოყვანასთან ერთად, სათანადო სტანდარტებით შენახვა და შემდგომ, სხვადასხვა ბაზარზე რეალიზაცია შევძლოთ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება და გამოწვევა, რა თქმა უნდა, ბაზრის დივერსიფიცირებაა. ამ ნაწილში აქტიურად ვეხმარებით ფერმერებს, სოფლის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით, სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ გამოფენებზე წარმოდგენილი არიან ჩვენი ფერმერები და ქართული წარმოების ლურჯი მოცვი. ეს ხელს უწყობს შესაბამისი კონტაქტების დამყარებას. ასეთი მხარდაჭერის შედეგად, ლურჯი მოცვი ჩვენი ფერმერების შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო გახდება“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა ფორუმში მონაწილე ფერმერებს, მოცვის მწარმოებელთა ასოციაციას, საერთაშორისო ექსპერტებს და

დარგის განვითარებაში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) აქტიური მონაწილეობისთვის.

„აგრარულ საკითხთა კომიტეტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ღონისძიებაში. ასეთი შეხვედრების დროს, ჩვენ ვახერხებთ უფრო მეტი საჭიროება გამოვკვეთოთ. კომიტეტის შემდგომი განხილვის საკითხი გახდება სხვა ეტაპზე გადავიყვანოთ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და, ზოგადად, პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა. ამ ნაშრომებში კომიტეტი აუცილებლად დაუდგება გვერდში სამინისტროს“, - განაცხადა აგრარული კომიტეტის თავმჯდომარემ გელა სამხარაულმა.

ფორუმის ფარგლებში, პანელური დისკუსიის ფორმატში, მსჯელობა გაიმართა ლურჯი მოცვის, როგორც სტრატეგიული დარგის განვითარებაზე, სახელმწიფოს მხრიდან არსებულ მხარდაჭერ პროგრამებზე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბაღების გაშენების მნიშვნელობაზე, მოცვის ინდუსტრიაში ასოციაციის როლზე, გამოწვევებსა და პერსპექტივებზე.







**თენგიზ ნასარიძე: „სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციის ჯამრთა მოსალოადა 7,64 მილიარდ ლარს გადააჭარბა“**

სოფლის მეურნეობის დარგში არსებული გამოწვევები, პერსპექტივები და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხები, სახელმწიფო უწყებების და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებმა, ერთობლივ შეხვედრაზე განიხილეს.

შეხვედრას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო წილოსანი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გელა სამხარაული და USAID-ის ეკონომიკური ზრდის ოფისის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ენი სთიდი ესწრებოდნენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სახელმწიფოს მიერ ევროკავშირთან, საერთაშორისო დონორ

ორგანიზაციებთან და ფონდებთან ერთად განხორციელებულ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ფინანსებზე ხელმისაწვდომობა წლიდან წლამდე იზრდება.

„10 წელზე მეტია, ვახორციელებთ სხვადასხვა მხარდაჭერ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციის ჯამრთა მოცულობამ 7,64 მილიარდ ლარს გადააჭარბა, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება თითქმის 2,04 მილიარდი ლარია. სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობით,

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი ყოველწლიურად მზარდია. 2023 წელს, საქართველოდან მსოფლიოს 106 ქვეყანაში ექსპორტირებულია, რეკორდული, 1.44 მილიარდამდე აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 2022 წლის მაჩვენებელს 15%-ით აღემატება, ხოლო ბოლო 12 წელიწადში გვაქვს 181%-იანი ზრდის მაჩვენებელი“, - განაცხადა თენგიზ ნასარიძემ.

შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ განხორციელებული თემატური მოკვლევის „ფინანსებზე ხელმისაწვდომობა აგრარულ სექტორში“ შედეგები განიხილეს. აღნიშნული დოკუმენტი USAID-ის ინიციატივების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.

„მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლიდან სოფლის მეურნეობის პორტფელში სახელმწიფო პროგრამების და კრედიტების სუბსიდირების მიმართულებით შთამბეჭდავი დინამიკა გვაქვს, კერძო ბიზნესის მხრიდან აგრარული სექტორის დაკრედიტება მაინც ძალიან დაბალია. ჩვენ მიერ განხორციელებულმა თემატურმა მოკვლევამ

გვაჩვენა ის წინააღმდეგობები, რომელიც საბანკო სექტორს აქვს. გაიცა რეკომენდაციები როგორც სახელმწიფო უწყებებისთვის, ასევე ბიზნესსექტორის წარმომადგენლებისთვის“, - აღნიშნა ნინო წილოსანმა.

USAID-ის ეკონომიკური ზრდის ოფისის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ენი სთიდმა ამერიკის მთავრობის მხრიდან საქართველოს უწყვეტ მხარდაჭერას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ 30 წელია აშშ მხარში უდგას საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიმართულებით.

შეხვედრა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის ორგანიზებით გაიმართა და მასში მონაწილეობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის, USAID-ის, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის, სოფლის განვითარების სააგენტოს, ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს.



**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა პრიორიტეტია. ეფექტიანი სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლები, ქვეყნის მასშტაბით, 24-საათიან უწყვეტ პატრულირებას ახორციელებენ, პერიოდულად მასშტაბურ პრევენციულ ღონისძიებებსაც ატარებენ და სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსულ შეტყობინებებზეც მყისიერ რეაგირებას ახდენენ.**

**გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი**

**იანვარი-მარტი, 2024 წ.**

დეპარტამენტის მიერ გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 2927 ფაქტი

- ადმინისტრაციული – 2783 ფაქტი
- სისხლის სამართლის – 144 ფაქტი



დიაგრამა: სამართალდარღვევათა გამოვლენა რეგიონების მიხედვით, მარტი, 2024 წ.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2024 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, 2 927 გარემოსდაცვითი სამართალდარღვევა გამოავლინეს. მათგან 2 783 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტია, 144 ფაქტი კი, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საგამოძიებო ორგანოებს გადაეგზავნა.

ყველაზე მეტი - 802, ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტია.

გამოვლინილი სამართალდარღვევებიდან 716 ფაქტი უკანონო ტყისსარგებლობას ეხება.

- მათგან 324 ტყის კანონმდებლობის დარღვევის, 221 - ხე-ტყის რანსპორტირების წესების დარღვევის 171 კი - სახერხი საამქროს მიერ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის ფაქტია.

ამავე პერიოდში, გამოვლინილია 50 არარეგისტრირებული სახერხი საამქრო.

მიმდინარე წლის პირველ 3 თვეში, დეპარტამენტის თანამშრომლებმა ასევე გამოავლინეს შემდეგი ფაქტები:

- ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის 677
- თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევის 213

- წილის უკანონო მოპოვების 109
- ნებართვის პირობების დარღვევის/უნებართო საქმიანობის 92
- მიწის კანონმდებლობის დარღვევის 89
- წყლის კანონმდებლობის დარღვევის 83

ამავე პერიოდში სხვა გარემოსდაცვითი სამართალდარღვევის 146 ფაქტია გამოვლინილი.

დეპარტამენტის თანამშრომლებმა 498 გარემოსდაცვითი სამართალდარღვევა გამოავლინეს დასავლეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე. 496 სამართალდარღვევა აღკვეთილი კახეთში. აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე გამოვლინილია 403 ფაქტი, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 281, მცხეთა-მთიანეთში - 272, ქვემო ქართლში - 270, სამცხე-ჯავახეთში - 248, შიდა ქართლში - 241. შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა კი, მიმდინარე წლის 3 თვეში, 23 გარემოსდაცვითი სამართალდარღვევა გამოავლინეს.

რაც შეეხება დედაქალაქს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2024 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, თბილისში 195 გარემოსდაცვითი სამართალდარღვევა აღკვეთეს. მათგან 4 სისხ-

ლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

**მიმდინარე წლის 3 თვეში სამართალდარღვევების მიმართ დაკისრებული ჯარიმის ოდენობა 1822190 ლარია, სამართალდარღვევების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანი კი, 588 291 ლარი.**

2024 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153), სავარაუდო გარემოსდაცვითი სამართალდარღვევის შესახებ 566 შეტყობინება დაფიქსირდა. თითოეულ მათგანზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა, კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება მოახდინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, 2023 წლის 4 სექტემბრიდან, ქვეყნის 4 დიდ ქალაქში - თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში, გზებზე მოძრაობის სატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის კონტროლს ახორციელებს. შესაბამისი კანონის ამოქმედებიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით, გამოვლინდა ავტოსატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან

შეუსაბამობის 4469 შემთხვევა, სამართალდარღვევებზე გამოიწერა ელექტრონული საჯარიმო ქვითრები გაუმართავი სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის ან სხვა პირისთვის სამართავად გადაცემისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ, საჯარიმო ქვითრები გაიცა 2691 მსუბუქი ავტომობილების მძღოლების, 1555 - მიკროავტობუსის, 222 - სატვირთო ავტომობილის, 1 კი, ავტობუსის მძღოლის სახელზე.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის კანონმდებლობით დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობისთვის, ფიზიკური პირის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა პირველ ჯერზე - 100 ლარია, მეორე ჯერზე - 300 ლარი, მესამე ჯერზე - 600 ლარი. ფიზიკური პირის შემთხვევაში კი, ჯარიმა 500, 1500 და 3000 ლარია. ჯარიმის 10 დღის ვადაში გადახდის შემთხვევაში, სამართალდარღვევს ჯარიმის ოდენობა 20%-ით შეუმცირდება.

მოქალაქეებს ჯარიმების გადამოწმება შეუძლიათ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ვებგვერდზე: [www.des.gov.ge](http://www.des.gov.ge); ჯარიმის გადახდა შესაძლებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის - [www.videos.police.ge](http://www.videos.police.ge) საშუალებით.





# ქართლის ქვეყნების ზონაში გავრცელებული ადგილობრივი საღვინე კაზის ჯიშები

სტატიის ავტორი ირმა მდინარაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ღვინის ეროვნული სააგენტოს მევენახეობა-მეღვინეობის ანალიზისა და რეგულირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი. სტატიაში გამოყენებული ლიტერატურა: ს. ჩოლოყაშვილი, 1939. ღვინი მეორე, ამპელოგრაფია.

ნ. კვციოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, 1960. საქართველოს ამპელოგრაფია. მ. რამიშვილი, 1986. ამპელოგრაფია. ნ. ცერცვაძე ნ., 1987. საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშების სარეგულირებელი ღვინო. Patrick McGovern and others, 2017. Early Neolithic wine of Georgia in the South Caucasus. PNAS, Vol. 114 | No. 48. <https://doi.org/10.1073/pnas.1714728114>

ქართლი, მევენახეობა-მეღვინეობის კუთხით, ისტორიულ და ტრადიციულ მხარეს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ქართლის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი ღვინის კვალი, რომელიც ბიომომლევკულური არქეოლოგიის კვლევებით, ძველი ნელთაღრიცხვით 6000-5800 წლით თარიღდება და უძველესია მთელ მსოფლიოში (Patrick McGovern and others, 2017).

სამეცნიერო ლიტერატურული წყაროების (ნ. კვციოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, 1960) თანახმად, ქართლის რეგიონში 68 ავტოქტონური ვაზის ჯიშია აღწერილი. ზონა გამოირჩევა მეტად საინტერესო და ორიგინალური ღვინოების წარმოებით, მათ შორისაა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები: „ატენი“ („ატენური“), „ოკამი“, „ბოლნისი“ და „ასურეთული შალა“. ღვინო ატენურის შესახებ გამოჩენილი ქართული გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ასე წერდა: „ღვინო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“.

დღევანდელი მდგომარეობით, ქართლის მევენახეობის ზონაში, გავრცელებულია შემდეგი ადგილობრივი საღვინე ვაზის ჯიშები:

## ასურეთული შავი



სინონიმები: ასურეთული, შალტრაუბენ, შალშვარც, შალ

ადგილობრივი წითელყურძინანი ვაზის ჯიშია. ის მიეკუთვნება ქართლის ვაზის ჯიშების ჯგუფს და ქართლის მევენახეობის ზონაშია (ქვემო ქართლი) გავრცელებული. ცნობილი მეცნიერის,

სოლომონ ჩოლოყაშვილის (ს. ჩოლოყაშვილი, 1939) ჩანაწერების თანახმად, ასურეთული შავი ასურეთის მდამოებში მდებარე ტყეში, ასურეთელმა გერმანელმა კოლომისტმა, Schall-მა აღმოაჩინა და თავის ვენახში დარგო. აღსანიშნავია, რომ ჯიშმა, სოფლის მაცხოვრებელთა შორის, დიდი პოპულარობა მოიპოვა და ფართოდ გავრცელდა.

აღნიშნული ჯიში ხასიათდება საშუალო ან საშუალოზე საგვიანო სიმწიფით - სოფელ ასურეთში, ყურძენი სექტემბრის მეორე ნახევრიდან მწიფდება. ყურძნის წვენი შაქრიანობა 17,0-19,0%-ის, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 7,0-8,5 გ/ლ ფარგლებშია. ასურეთული შავის ყვავილები, ფუნქციონალურად, მდებარეობს და, ამიტომ, მისი გაშენება ორსქესიან ჯიშებს შორის აუცილებელია.

ასურეთული შავისგან მზადდება ღია წითელი ან წითელი ფერის ღვინო, ხალისიანი მჟავიანობით და კარგი გემური მაჩვენებლებით. ასევე, აღსანიშნავია, რომ იგი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების - „ასურეთული შალა“ და „ბოლნისი“ დასამზადებლად გამოიყენება.

## რქაწითელი



სინონიმები: დედალი რქაწითელი, მამალი რქაწითელი, კოროლიოკი, გრუზინსკი, ხანლუგი, ასლუნი, რქაწითელი გილო და სხვა

ადგილობრივი თეთრყურძინანი ვაზის ჯიშია და კახეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. ის, ვენახების ფართობის მიხედვით, საქართველოს უპირველესი ჯიშია და ფართოდ არის გავრცელებული კახეთისა და ქართლის მევენახეობის ზონებში. საქართველოს გარეთ, რქაწითელი გვხვდება უკრაინაში, ბულგარეთში, კანადაში, ავსტრალიაში და სხვა. 1953 წლის ვენახების აღწერის თანახმად, რქაწითელი, კახეთის შემდეგ, ყველაზე გავრცელებული ბოლნისისა და მარნეულში იყო.

აღნიშნული ჯიში ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით (6-20 ტ/ჰა), გარემო პირობებისადმი კარგი შეგუების უნარით და საშუალო ან საშუალოზე საგვიანო სიმწიფის პერიოდით. ყურძენი, კახეთის ზონაში, სექტემბრის შუა რიცხვებიდან მწიფდება, ხოლო ქართლის ზონაში - სექტემბრის ბოლოს/ოქტომბრის დასაწყისში. ყურძნის წვენი შაქრიანობა 20,0-24,0%-ის, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 7,0-8,0 გ/ლ ფარგლებში მერყეობს.

რქაწითელი მაღალხარისხოვანი მახასიათებლებით გამოირჩევა და უნივერსალური საღვინე ჯიშია, რომლისგანაც შესაძლებელია დამზადდეს ფართო სპექტრის ღვინოები როგორც კლასიკური (ვეროპული), ისე კახური ტექნოლოგიით. ვეროპული ტიპის რქაწითელი ღვინო ლამაზი შეფერილობით, სისრულით, სინაზით, ხილის არომატებით ხასიათდება, ხოლო დაძველების შემდეგ, ღვინო ჰარმონიულობით და სასიამოვნო ბუკეტით გამოირჩევა. კახური ტიპის რქაწითელის ღვინო ქარვისფერია, ხასიათდება ჰარმონიულობით, სისრულით და გამოხატული ჯიშური არომატით. ქართლის მევენახეობის ზონაში და ნაწილობრივ, კახეთშიც, მისი გამოყენება იქნას ცქრიალა ტიპის ღვინოების დასამზადებლადაც შესაძლებელია.

აღსანიშნავია, რომ რქაწითელისგან მზადდება მრავალი სახის ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო: „წინანდალი“, „გურჯაანი“, „კახეთი“, „ნაფარული“, „ვაზისუბანი“, „კარდენახი“, „ტიბაანი“, „კოტეხი“, „წარავი“ და „ბოლნისი“.

## საფერავი



საფერავი ადგილობრივი წითელყურძინანი ვაზის ჯიშია და კახეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. დღევანდელი მდგომარეობით, ვენახის ფართობის მიხედვით, საფერავი ყველაზე ფართოდ გავრცელებული წითელყურძინანი ვაზის ჯიშია საქართველოში. ის წამყვანია კახეთის ზონაში, თუმცა გვხვდება ქართლის მევენახეობის ზონაშიც (ქვემო ქართლი, შიდა ქართლი). საქართველოს გარეთ, საფერავის ვენახები ბულგარეთში, ხორვატიაში, საფრანგეთში, მოლდოვაში, ახალ ზელანდიაში, რუმინეთში, თურქეთში, ავსტრალიაში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებშია გაშენებული. საფერავი ერთ-ერთი საუკეთესო

წარმომადგენელია ვაზის წითელყურძინან საღვინე ჯიშებს შორის მსოფლიოში. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, ფრანგი ამპელოგრაფი ა.პ. ოდარი საფერავის შესახებ წერდა: „ყველაფერი უფლებას მაძლევს ვიფიქრო, რომ წითელი ღვინის დასაყენებლად საფერავი ყველა არსებულ ყურძნის ჯიშს სჯობია და შემძლია, იგი სრულიად შეგნებულად, გირჩიოთ ფართოდ საცდელად“.

ჯიში ხასიათდება საშუალოზე მაღალი მოსავლიანობით (8-10 ტ/ჰა) და საშუალო-საგვიანო სიმწიფით - კახეთში ყურძენი სექტემბრის მეორე ნახევრიდან მწიფდება. ყურძნის წვენი შაქრიანობა 20,0-26,0%-ს აღწევს, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 7,5-8,5 გ/ლ ფარგლებშია.

საფერავის ღვინო გამოირჩევა მაღალი მახასიათებლებით. ის არის შესანიშნავი საღვინე ვაზის ჯიში, რომლის მოსავალი თითქმის ყველა ძირითადი ტიპის ღვინოების დასამზადებლად საუკეთესოა. საფერავის ღვინო ხასიათდება ინტენსიური შეფერილობით, სხეულით, სისრულით, ჰარმონიულობით, ხოლო დაძველების შემდგომ, ძლიერი ბუკეტით.

აღსანიშნავია, რომ საფერავისგან მზადდება საკმაოდ მრავალი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო, კერძოდ: „მუკუხანი“, „ახაშენი“, „ქინძმარული“, „წინანდალი“ (წითელი), „კახეთი“, „ნაფარული“, „ყვარული“, „კოტეხი“, „ხაშის საფერავი“, „ახოები“, „ბოლნისი“ და „ბეგანი“.

## შუკაპიტო



სინონიმები: შავი კაპიტო, შავკაპიტა, ლურჯფოთიოლა

ადგილობრივი წითელყურძინანი ვაზის ჯიშია. მიეკუთვნება ქართლის ვაზის ჯიშების ჯგუფს და ძირითადად, ქართლის ზონაშია (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი) გავრცელებული. თბილისის

სამხრეთით, გერმანელთა ყოფილ ახალშენებში, ვენახების გაშენებისას, ქართლიდან შავკაპიტოც შეიტანეს და მას გერმანული სახელი Blauhäutler (ლურჯფოთიანი) შეარქვეს.

აღნიშნული ჯიში საშუალო მოსავლიანობით (8 ტ/ჰა) და საშუალო-საგვიანო სიმწიფით ხასიათდება. ყურძენი სექტემბრის ბოლოს/ოქტომბრის პირველ ნახევარში მწიფდება. ყურძნის წვენი შაქრიანობა 17,0-21,0%-ის, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 6,2-7,1 გ/ლ ფარგლებშია.

შავკაპიტო მაღალი ხარისხის საღვინე ვაზის ჯიშია. კლასიკური (ვეროპული) ტექნოლოგიით დამზადებული შავკაპიტოს ღვინო ლამაზი, ღია წითელი (ვარდისფერი) ან წითელი შეფერილობით, სინაზით, სინალისით და ჰარმონიულობით ხასიათდება. ჯიში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ცქრიალა ღვინოების დასამზადებლად. აღსანიშნავია, რომ შავკაპიტოსგან ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები: „ბოლნისი“ და „ოკამი“ მზადდება.

## ბუხა



სინონიმები: საბუხე, ბუხის ყურძენი, ჭანჭუდოლი, ფოგელტრაუბე, აგა ყირმიზ

ადგილობრივი წითელყურძინანი ვაზის ჯიშია. ის მიეკუთვნება ქართლის ვაზის ჯიშების ჯგუფს და მცირედ არის გავრცელებული ქართლის ზონაში (შიდა ქართლი).

ჯიში საშუალოზე დაბალი ან საშუალო მოსავლიანობით (5,6-7,0 ტ/ჰა) ხასიათდება და, სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით, ნაადრევი სიმწიფით გამოირჩევა. ყურძენი სექტემბრის ბოლოს მწიფდება. მისი გაშენება მევენახეობის მაღალ ზონაშიც შესაძლებელია. ყურძნის წვენის შაქრიანობა 20,5 - 23,0 %, ხოლო მჟავიანობა 5.8 გ/ლ ფარგლებშია. ბუხასგან მიიღება წითელი მშრალი ღვინო.

## საფერავი ბუდეშუკი



საფერავი ბუდეშურისებური წარმომადგენელია საფერავის ჯიშის ვარიეტას. აღნიშნული სახელოდებით „საფერავი ბუდეშური“ პირველად, 1895 წელს, სიმონ ქვარიაშვილის მიერ ივრისპირა სოფლებში იქნა აღწერილი. საფერავისგან, ძირითადად, მოგრობო ბუდეშურისმაგვარი ბოლოებწამკვეთებული მარცვლის ფორმით და შედარებით საადრეო სიმწიფით განსხვავდება. ჯიში მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება. საფერავი ბუდეშურისებური მაღალხარისხოვანი საღვინე ვაზის ჯიშია. მისგან დამზადებული ღვინო ინტენსიური შეფერილობის და სხეულიანია.





### გერმანიაში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და ასოციაციის „ქართული ღვინო“ ორგანიზებით, გერმანიის ქალაქ დუსელდორფში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების გამოფენაში „ProWein Dusseldorf“ ქართული ღვინის მწარმოებელმა 28 კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

სამი დღის განმავლობაში, ქართული ღვინის დაგემოვნების და შეფასების შესაძლებლობა ღვინის პროფესიონალებს, კომერციული სექტორის წარმომადგენლებსა და გამოფენის სტუმრებს მიეცათ, რაც მნიშვნელოვანია საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და გაყიდვების ზრდის ხელშეწყობისთვის.



„ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციაა. დუსელდორფის გამოფენა უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ გერმანიის, არამედ ღვინის გლობალური ბაზრისთვის. ღონისძიება აერთიანებს პროფესიონალებს და შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს პოტენციურ პარტნიორებთან შეხვედრები გამართონ. „ProWein Dusseldorf“-ში საქართველო უკვე მრავალი წელია

მონაწილეობს. გერმანია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ქართული ღვინის გაყიდვები სტაბილურად მზარდია“, - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუბლაძემ.

გამოფენის ფარგლებში, ლევან მეხუბლაძემ შეხვედრები გამართა გამოფენის „ProWein“ დირექტორ პეტერ შმიტცთან და სხვადასხვა მარკეტინგული

კომპანიისა და მედიაპოლიტიკის წარმომადგენლებთან. ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით მოხსო ქართული ღვინის პროფესიული პრეზენტაცია-დეგუსტაცია. პრესტიჟული გერმანული მედიაპოლიტიკის „Meininger“ სტენდზე გამართულ პრეზენტაცია-დეგუსტაციას „საქართველო - ღვინის სამშობლო“ ღვინის მაგისტრები იანეკ შუმანი (Janek Schumann) და კონსტანტინ ბაუმი (Konstantin Baum) უძღვებოდნენ. ცნობილმა სომელიემ და ინფლუენსერმა, ტონი ასკიტისმა (Toni Askitis) კი, სამი ღონისძიება სახელწოდებით „ქართული ღვინის დღე“ გამართა.

გამოფენას „ProWein Dusseldorf“, ღვინის სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს გენერალური კონსული გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გიორგი ტაბატაძე დაესწრო.

წელს, 30-ე საუბილეო გამოფენას „ProWein Dusseldorf“, მსოფლიოს 65 ქვეყნის 5400-მდე ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა.



### აშშ-ში, TEXSOM-ის ღვინის საერთაშორისო კონკურსში ქართულმა ღვინოებმა უმაღლესი ჯილდოები მოიპოვეს



ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners“ ორგანიზებით, აშშ-ში, ტექსასის შტატის სომელიეთა კონფერენციის (TEXSOM) ღვინის საერთაშორისო კონკურსზე, ქართული ღვინის მწარმოებელი სხვადასხვა კომპანიის 25-მა ღვინომ პლატინის, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. კონკურსზე წარდგენილი იყო სხვადასხვა სახეობის ის ქართული ღვინოები, რომლებიც უკვე იყიდება აშშ-ის ბაზარზე.

მსგავს პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსში ქართული ღვინის წარმატება, მის მაღალ ხარისხზე მიანიშნებს და, ამავე დროს, ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით ქართული ღვინის პოპულარიზაციას და გაყიდვების ზრდას.

გამარჯვებული ღვინოებიდან პლატინის მედალი მოიპოვა ერთმა ღვინომ, ოქროს მედალი ხუთმა, ვერცხლის ათმა და ბრინჯაოს მედალი ცხრა ღვინომ. (გამარჯვებული ღვინოების შესახებ იხ. ლინკზე: Teksom).

ტექსასის სომელიეთა კონფერენცია TEXSOM-ი, ადგილობრივი სომელიეთათვის პროფესიული სტანდარტების შემუშავებისა და ცოდნის ამაღლების მიზნით, პირველად, 2005 წელს ჩატარდა. შემდგომ კი, კონფერენცია ღვინის სფეროში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ღონისძიებად იქცა. 2014 წლიდან, კონფერენციას დამატება ყოველწლიური საერთაშორისო ღვინის კონკურსი, რომლის ჟიურის შემადგენლობაში არიან ღვინის პროფესიონალები და სომელიეები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, 2024 წლის აგვისტოში დაგეგმილ TEXSOM-ის სამდღიანი კონფერენციის ფარგლებში, ღვინის ინდუსტრიის ექსპერტებისა და პროფესიონალებისთვის, ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა მოხდება.



### ჩინეთში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა „The 108th China Food & Drinks Fair“ გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით, გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელი 21 კომპანია მონაწილეობდა.

ჩინეთი საქართველოსთვის ერთ-ერთი სტრატეგიული საექსპორტო ბაზარია, შესაბამისად, ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის მიზნით, ქართული ღვინის მსგავსი მასშტაბური წარდგენა ძალიან მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ქართული ღვინის საექსპორტო ქვეყნების ხუთეულში შედის.

სამდღიანი გამოფენის ფარგლებში, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლებმა შეხვედრები არსებულ და პოტენციურ პარტნიორებთან და იმპორტიორებთან გამართეს.

გამოფენის ფარგლებში, ჩინეთის ღვინის მაგისტრმა, ქესიდი დარტმა სტუმრებისთვის სხვადასხვა სახის ქართული ღვინის პრეზენტაცია გამართა.

გამოფენას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პაატა კალანდაძე დაესწრო.

ჩინეთში, გამოფენა „The China Food & Drinks Fair“ 1955 წლიდან ტარდება და წარმოადგენს ერთ-ერთ პრესტიჟულ და მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელსაც ყოველწლიურად, მსოფ-

ლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ათასობით ღვინის მწარმოებელი და მილიონამდე დამთვალიერებელი ესწრება.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთში, როგორც ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარზე, მარკეტინგული კამპანიები 2013 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს. ღვინის ეროვნული სააგენტო, ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, მარკეტინგულ კომპანიასთან „Meiburg Wine Media“ თანამშრომლობს.



### საფრანგეთში, ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე, ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasion“ ორგანიზებით, ბაზრების დივერსიფიკაციისა და გაყიდვების ხელშეწყობის მიზნით, საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის რამდენიმე პრესტიჟულ ფესტივალზე - „SAVIM Printemps Salon des Vignerons et de la Gastronomie“ (მარსელი), „LA FETE des VINS et de la GASTRONOMIE“ (ტულონი), „SALON DU VIN POUR PROFESSIONNELS“ (ნიცა) ქართული ღვინო იყო წარდგენილი.

კომპანიის „Le Pont Caucasion“ ხელმძღვანელმა, საფრანგეთში მოღვაწე ენოლოგმა, ილია კახიძემ, ფესტივალის სტუმრებს ქართული ღვინის მწარმოებელი 8 კომპანიის ის ღვინოები წარუდგინა, რომლებიც საფრანგეთის ბაზარზე უკვე იყიდება.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღ-

ლება წარმოადგენს. ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს 2013 წლიდან ახორციელებს. ღონისძიებები აქტიურად იმართება მეღვინეობით განთქმულ ქვეყნებშიც, მათ შორის საფრანგეთში, სადაც ქართულ ღვინოზე, განსაკუთრებით კი, ქვეყნის ღვინოზე, მოთხოვნა მზარდია.





**ენერგოეფექტური  
ღუმელების  
საწარმო ღუმელის  
მონიშვნა**



შპს „ესკო-ეს“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შექმნილი საწარმოა, რომელიც ღუმელის მონიშვნაში მიმდინარე წელს ამოქმედდა. კომპანიის დამფუძნებელი, ზაალ ხელაძე პროფესიით გეოფიზიკოსია და როგორც თავად აღნიშნავს, სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით გადაწყვიტა ეკომეგობრული ბიზნესის წამოწყება.

სახელმწიფო საგრანტო დაფინანსებაა, 1,5 მლნ ლარი კი შეღავათიანი აგროკრედიტია. საწარმო ჩართულია პროგრამაში, რომელსაც სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს და ჩვენს მიერ წარმომებული ღუმელების შექმნა დაინტერესებულ პირებს, სახელმწიფო თანადაფინანსებით შეეძლება. გვაქვს სასწავლო მიმართულება, ვამზადებთ მემონტაჟეებს. დასაქმებული გვყავს 25 ადამიანი“, - აღნიშნავს, კომპანიის დამფუძნებელი ზაალ ხელაძე.

„სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ვახორციელებთ პროგრამას, რომლის ჯამური კაპიტალი 2 მლნ ლარია; 500, 000 ლარი

**ჩირის საწარმო  
მცხეთის  
მონიშვნა**



**სოფლის განვითარების სააგენტოს  
დახმარება ჩვენთვის სასიცოცხლოდ  
მნიშვნელოვანი იყო.**

სწორედ მათი მეშვეობით დავიწყეთ საწარმოს ინფრასტრუქტურის მშენებლობა“, - აღნიშნავს შპს „კავკასუს ორგანიკ ფურტის“ გაყიდვების მენეჯერი ნათია ბლიაძე.

ჩირის მწარმოებელი საწარმო ადგილობრივი ფერმერებისგან მხოლოდ საქართველოში მოყვანილ ხილს იბარებს. აღსანიშნავია, რომ საწარმოს თანამშრომლების დაახლოებით 80% იძულებით გადაადგილებული პირია. პროდუქციის ექსპორტი გერმანიაში, ჩეხეთში, ნიდერლანდებში, ბელგიასა და ისრაელში ხორციელდება.

„ქართულ ხილს განსაკუთრებული გემოვნური თვისებები აქვს, სწორედ ამიტომ ჩირის საწარმოს შექმნის იდეა გაგვიჩნდა. გვინდოდა, ქართული ხილი განსხვავებული ფორმით შეგვეთავაზებინა მომხმარებლისთვის.

**ჩაის საწარმო  
მცხეთის  
მონიშვნა**



ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში აღდგა ქართული ჩაის მოხმარების ტრადიცია. 2017 წელს, სოფლის განვითარების სააგენტოს დახმარებით საწარმო ავაშენეთ. ვისარგებლეთ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით. პროდუქციის დამზადებისას არ ვიყენებთ ქიმიკატებსა და მინარევეებს. „მანნა“ პროდუქცია ხელმისაწვდომია, როგორც ადგილობრივ მარკეტებში, ასევე გადის ექსპორტზე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მნიშვნელოვანად გვიწყობს ხელს ექსპორტის მიმართულებითაც“, - აღნიშნავს კომპანიის „მანნა“ დამფუძნებელი ირაკლი ღურჭუმელია.

კომპანია „მანნა“ ქართულ ჩაის აწარმოებს. „2014 წლიდან, სახელმწიფომ ერთ-ერთ პრიორიტეტად ქართული ჩაის აღორძინება დაისახა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჩაი პლანტაციებს.

**ქვემო ქართლში, 4075  
ჰექტარ სასოფლო-  
სამეურნეო მიწის  
ფართობზე სარწყავი  
წყლის მიწოდება  
გაუმჯობესდება**



შპს „საქართველოს მელიორაცია“ მარნეულის მუნიციპალიტეტში სრამ არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაციას ახორციელებს. აღდგენილი საირიგაციო სისტემით ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების 11 სოფელი (ცურტავი, ფარიზი, ყიზილაკლო, თამარი, წერეთელი, საბირქენდი, ალგეთი, თაბაქენდი, აზიბქენდი, ალგეთის მევენახეობა, ქეშალო), ქალაქ მარნეულის მიმდებარე ტერიტორია და სამეურნეო დანიშნულების ობიექტები ისარგებლებენ.

ჩატარებული სამუშაოები რეგიონში 4075 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე წყალუბრუნველყოფას გააუმჯობესებს, რაც

ხარისხიან მოსავლიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

საირიგაციო ქსელზე მიმდინარე სამუშაოები საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა თამაზ მღებრიშვილმა, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი დობტროშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ღირებულება 4,4 მლნ ლარია.

სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, ქვემო ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 7 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს, რომელთა დასრულების შემდეგ, 1,885 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგულარულად მოირწყება.



**საქართველოს  
მელიორაცია  
ზედა რუს  
მაგისტრალური  
არხის განმადიტი  
სამუშაოები  
დაასრულა**



შპს საქართველოს მელიორაცია შიდა ქართლში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს განაგრძობს.

სოფელ საქაშეთი-სასირეთის ტერიტორიაზე ნატანი მასისა და დანალექი გრუნტისგან ზედა რუს სარწყავი სისტემის დაახლოებით 3 კმ სიგრძის მაგისტრალური არხი გაიწმინდა.

სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს. შედეგად, გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების 2000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება.

მოწესრიგებული სარწყავი სისტემით სოფელ ქვედა ნიქოზის, ფხვენისის, შინდისის, ვარიანის მეურნეობის, საქაშეთის, სასირეთის, რუისისა და ურბნისის ფართობები ირწყვება.





### ბაიოტექნოლოგიები

## თეკლე ზაკალაშვილი მცენარეთა მიკროკლონური (IN VITRO) გამრავლებისა და უვირუსო სარგავი მასალის კვლევის სამსახურის უფროსი



**მასალა. გარდა ამისა, ინ-ვიტრო გარემოში შესაძლებელია მცენარეთა უწყვეტი გამრავლება და სრული ციკლის წარმართვა წლის მანძილზე. რაც შეეხება მევენახეობას, როგორც მცენიერებას, ის ახალ ცოდნას ქმნის ვაზის შესახებ და ღრმად შეისწავლის კონკრეტულ ჯიშებს“**

თეკლე მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, მცენარეთა ინ-ვიტრო გამრავლებით დაინტერესდა. დღეს, იგი სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ყველაზე ახალგაზრდა, მცენარეთა მიკროკლონური გამრავლებისა და უვირუსო სარგავი მასალის კვლევის სამსახურის უფროსია.

**„მცენარეთა ინ-ვიტრო გამრავლება, გვაძლევს საშუალებას მივიღოთ უვირუსო, ფიტოსანიტარულად სუფთა და ჯიშურად წმინდა სარგავი თუ სათესლე**

თეკლე მუდმივად ცდილობს, მისი ცოდნა და გამოცდილება ახალ თაობას გაუზიაროს. ის აქტიურადაა ჩართული სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის

მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, რაც სტუდენტებისა და ფერმერების ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

როგორც თეკლე აღნიშნავს, მისთვის მთავარი მოტივაცია ფერმერების დახმარებაა.

“სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მნიშვნელოვანი რგოლია. ვფიქრობ, ის მედიატორია ხალხსა და მეცნიერებს შორის. ჩვენი საქმის მრავალფეროვნება, კოლეგებთან ერთად საინტერესო კვლევების ჩატარება და იმის ცოდნა, რომ ჩვენი კვლევა ფერმერებს ხელს უწყობს ფერმერული საქმიანობის ეფექტიან წარმართვაში, ჩემთვის მთავარი მოტივაციაა“.

თეკლე აღნიშნავს, რომ თავის გუნდთან ერთად არაერთ საინტერესო პროექტზე მუშაობს. გამორჩეულ პროექტად მცენარეთა სარგავი მასალის სერტიფიცირების პროცესს ასახელებს, რომელშიც სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტანდარტების, სერტიფიცირების დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურთან ერთად, ინ-ვიტრო ლაბორატორიაც არის ჩართული და რომლის შედეგადაც მიღებული გასამრავლებელი მასალა არსებული სტანდარტების შესაბამისი იქნება. კლიმატთან დაკავ-

შირებული ინფორმაციის გამოყენების პროექტი- ასევე მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის საშუალებითაც ფერმერი მეტოსადგურებიდან წინასწარ იქნება ინფორმირებული ამინდის ცვლილების თაობაზე, რაც რისკ-ფაქტორების წინასწარ განსაზღვრაში დაეხმარება.

თეკლე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ურჩევს, რომ გამოწვევების მიუხედავად, სჯეროდეთ საკუთარი მიზნების, არასდროს დაკარგონ ცნობისმოყვარეობა და გაცემის განცდა, რომელიც მათ ამ დარგის უკეთესად შესწავლასა და სიახლეების აღმოჩენაში დაეხმარება.



გარემოს ეროვნული  
სააგენტოს  
ჰიდრომეტეოროლოგიური  
პროგნოზების  
სამმართველოს უფროსი  
სინოპტიკოსი  
**სვეტლანა ნიორაძე**



### სვეტლანა ნიორაძე:

„ბოლო პერიოდში, მიმდინარე კლიმატის ცვლილებების ფონზე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ამინდის პროგნოზის სიზუსტე. გლობალური დათბობა მთელ მსოფლიოში ძალიან აქტუალური საკითხია და სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. სახელმწიფოები მუდმივად ცდილობენ კლიმატის ცვლილების მიმართ სწორი ადაპტაციის სტრატეგია შეიმუშავონ. ასევე, გაზრდილია მოთხოვნები ამინდისა და კლიმატის შესახებ ინფორმაციაზე. მეტეოროლოგების ამოცანებისა და შესაძლებლობების სპექტრი თანდათან უფრო ფართოვდება. ჩვენს დარგში მუდმივად არის და იქნება სირთულეები, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას და კლიმატის ტიპების მრავალსახეობას. მიუხედავად საქართველოს მასშტაბისა, მის ტერიტორიაზე წარმოდგენილია კლიმატის თითქმის ყველა ტიპი, გარდა სავანებისა და ტროპიკული ტყეების კლიმატისა და მოიცავს, როგორც ნოტიო სუბტროპიკულ, ასევე, მუდმივი გამყინვარების ზონებს.

დარგი ვითარდება, ამინდის პროგნოზის მიმართულებით დიდი ნაბიჯებით მივდივართ წინ. შედარებისთვის, რამდენიმე ათეული წლის წინ

ხელით ვზაზავდით რუკებს, ამჟამად ყველაფერი ავტომატიზირებულია. ინფორმაციის მიღება და დამუშავება ბევრად კომფორტულია, თუმცა, სირთულეები მაინც გვაქვს. ჩვენი პროფესია დიდ სიზუსტეს მოითხოვს, ერთმანეთს ბევრი სხვადასხვა პროგნოსტიკული მოდელი უნდა შეადარო და საბოლოო პროგნოზი დაწერო, როგორი ამინდი იქნება ხვალ, ზეგ, ერთ კვირაში და ასე შემდეგ.

საქართველოს რთული გეოგრაფიული რელიეფი და ტერიტორიის კლიმატური მახასიათებლები, კომპლექსურად, რთულ საპროგნოზო არეალს ქმნიან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამინდის პროგნოზირების რეგიონალური მოდელის გამართვას და ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ეკონომიკის არც ერთი დარგი, რომლისთვისაც ამინდის პროგნოზი მნიშვნელოვანი არ არის.

აღსანიშნავია, რომ საქართველო მსოფლიო მეტეოროლოგიის ორგანიზაციის (WMO) წევრი ქვეყანაა, ასევე, გაწევრიანდით ევროპის საშუალოვადიანი პროგნოზირების ცენტრში (ECMWF), რაც უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯია დარგის კიდევ უფრო განვითარებისა და წინსვლისთვის“.

## გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო ექსპერტ კბირა ენგელს შიხვდა



შეხვედრაზე მხარეებმა პროექტის „მცენარეთა გენეტიკური რესურსების კონსერვაციის ფორმებს შორის in-situ, ex-situ, on-farm კავშირის გაძლიერება“ მიმდინარეობის საკითხები განიხილეს.

იური ნოზაძემ მცენარეთა გენეტიკური რესურსების აღდგენა-კონსერვაციის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა და ყურადღება ამ პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის როლზე გაამახვილა.

„სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი გენეტიკური რესურსების

მოძიების, დაცვისა და კონსერვაციის მიმართულებით აქტიურად მუშაობს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მცენარეთა გენეტიკური რესურსების კონსერვაციის მიმართულებით ეფექტიანი თანამშრომლობა მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ამ კუთხით ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პროცესში“, - აღნიშნა იური ნოზაძემ.

პეტრა ენგელის განცხადებით, საქართველოს სურსათის წარმოებისა და სოფლის მეურნეობისთვის მცენარეთა გენეტიკური რესურსების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებაში გაწევრიანება მნიშვნელოვანი პროგრესია,

რაც, პროექტთან ერთად, ხელს შეუწყობს ქვეყნის მდიდარი მცენარეული გენეტიკური რესურსის დაცვას და მართვას.

სწავლებლების და ექსპედიციების ჩატარების პარალელურად, პროექტის ძირითადი ამოცანებია საერთაშორისო გენბანკებიდან ქართუ-



ლი წარმოშობის მცენარეთა გენეტიკური რესურსების დაბრუნება, შეგროვილი მასალის აგრომორფოლოგიური დახასიათება; ასევე, იდენტიფიცირებული, მაღალი ხარისხის ნაციონალური კოლექციის სათესლე მასალაზე მეცნიერებისთვის და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ პროექტი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.







გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი აქტიურად მუშაობს საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობისა და ცნობიერების დონის ამაღლების მიმართულებით.

გარემოსდაცვითი დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაცია და ახალგაზრდების დაინტერესება ცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.



უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარემოსდაცვითი მიმართულებით არსებული პროგრამებისა და შემდგომი დასაქმების სფეროების შესახებ, VIII-XII კლასის მოსწავლეებისთვის ვებინარები გაიმართება. აღნიშნულ შეხვედრებზე მოსწავლეები მიიღებენ ინფორმაციას გარემოსდაცვითი საბაკალავრო პროგრამების, პროფესიებისა და დასაქმების შესახებ სფეროების შესახებ. ამასთანავე, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ შეხვედრებზე მოწვეული იქნებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც მოსწავლეებს ინფორმაციას გაუზიარებენ მწვანე პროფესიების პრაქტიკულ მიმართულებებზე.

ვებინარები პროგრამის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში გაიმართება. პროგრამა დაფინანსებულია საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვეიცარიის და შვედეთის მთავრობების მიერ. მის განხორციელებას კი, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) უზრუნველყოფს.

ბავცანით საბაკალავრო საფეხურის მწვანე პროფესიები:

**გეოლოგია - პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ თეორიულ ცოდნას გეოლოგიის ძირითადი საკითხების შესახებ, კერძოდ: დედამიწის აგებულებაზე, მის შედგენილობაზე, მოძრაობასა და სასარგებლო წიაღისეულის განლაგებაზე. სტუდენტები, ასევე, შეისწავლიან: გეოლოგიური, გეოფიზიკური, საველე და ლაბორატორიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს დედამიწის აგებულებისა და ნივთიერი შედგენილობის განსაზღვრისათვის.**

უნივერსიტეტი:

- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**გეომრავიზა - პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ ფართო თეორიულ ცოდნას გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე პროცესებსა და გეოგრაფიულ კანონზომიერებაზე. სტუდენტები გააანალიზებენ და თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოდგენენ შესაბამის დასკვნებს. ამასთანავე, გამოიმუშავენ გეოგრაფიული გარემოს მდგრადობის შენარჩუნებისა და დაცვითი ღონისძიებების შეფასების უნარს.**

უნივერსიტეტი:

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

**ბიოლოგია - პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ თეორიულ ცოდნას**

ბიოლოგიის საკითხებზე. შეისწავლიან ცოცხალ ორგანიზმთა აგებულებასა და ფუნქციებს, მათი ზრდის, გავრცელების, წარმოშობისა და განვითარების თავისებურებებს. გამოიმუშავენ ლაბორატორიული და აკადემიური მუშაობისთვის აუცილებელ კვლევით, ეთიკურ და პრაქტიკულ უნარებს.

უნივერსიტეტი:

- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ა(ა)პ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი;

**საინჟინრო გეოდეზია - პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ ფართო თეორიულ ცოდნას საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის სფეროში სხვადასხვა სპეციფიკაციის მქონე საინჟინრო ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის და ექსპლუატაციის შესახებ. სტუდენტებს განუვითარდებათ დედამიწის ზედაპირის კოსმოსური და აეროსურათების დამუშავების, მიღებული მონაცემების დახარისხებისა და კადასტრული აღრიცხვის, აგრეთვე მათი გრაფიკული გამოსახვის უნარები.**

უნივერსიტეტი:

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

**გარემოსდაცვითი ინჟინერია - პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ ფართო თეორიულ ცოდნას**

გარემოსდაცვითი ინჟინერიის ძირითად საკითხებზე, კერძოდ, გარემოს ობიექტების ხარისხის მაჩვენებლებზე, მასზე მოქმედ მავნე ნივთიერებათა, აგრეთვე, ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორებით გამოწვეული ბიოსფეროს წონასწორობის რღვევასა და კლიმატურ ცვლილებებზე. სტუდენტები შეისწავლიან ეკოლოგიური მონიტორინგის ჩატარების პრინციპებს, უნარჩუნო ან მცირე-უნარჩუნო ტექნოლოგიებს, სამრეწველო აეროზოლებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდის მეთოდებს.

უნივერსიტეტი:

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

**ენიდაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია - პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ ფართო თეორიულ ცოდნას აგროინჟინერიის შესახებ. კერძოდ, სტუდენტები შეისწავლიან ნიადაგის დაცვას, ბუნებრივი წყლის რესურსების დაცვასა და ინტეგრირებულ მართვას, თანამედროვე აგროსაინჟინრო სისტემების დაპროექტებას - ექსპლუატაციას.**

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

**ეკოლოგია - პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ ფართო თეორიულ ცოდნას ეკოლოგიის შესახებ, კერძოდ, შეისწავლიან ეკოლოგიურ ფაქტორებსა და მათი მოქმედების სპეციფიკას მცენარეთა და ცხოველთა ცალკეულ ორგანიზმებზე, სახეობრივ პოპულაციებსა და ეკოსისტემებზე.**

უნივერსიტეტი:

- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

**დედაამინის შემსწავლელი მცენარეაბი (გეოგრაფია, GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა) - პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ ფართო თეორიულ ცოდნას დედამიწის შემსწავლელი მცენარეების ფუნდამენტური ცნებების, კონცეფციების და თანამედროვე თეორიების შესახებ. სტუდენტები შეძლებენ შეისწავლონ დედამიწის მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური ხასიათი, გამოყენების არეალი, მისი მნიშვნელობა სოციოეკონომიკურ და გარემოსდაცვით კონტექსტში.**

უნივერსიტეტი:

- სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

**საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა - პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ თეორიულ ცოდნას სამუშაო ადგილებთან დაკავშირებულ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროცესებზე,**

კერძოდ პროფესიული დაავადებების, პროფილაქტიკური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ. სტუდენტები შეისწავლიან: შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს, შრომის პირობების ოპტიმიზაციის მეთოდებს, სანარმოო რისკების შეფასებას და კონტროლს, ავარიული სიტუაციების პროგნოზირებას, ამასთანავე, ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებს.

უნივერსიტეტი:

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

**სამთო-გეოინჟინერია - პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ ფართო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას სამთო-გეოინჟინერიის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ტექნიკისა და ტექნოლოგიის შესახებ. გაეცნობიან სამთო საქმეში არსებულ თეორიებს, განუვითარდებათ მყარი სასარგებლო წიაღისეულის, ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიების, მარაგების შეფასების დამუშავებისა და განხორციელების უნარი.**

უნივერსიტეტი:

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

**გამოყვანებითი ბიომეცნიერებაები და ბიოტექნოლოგია**

- პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ ფართო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას გამოყვანებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის შესახებ. ლაბორატორიებში სტუდენტები დაეუფლებიან: მოლეკულურ-გენეტიკური კვლევის მეთოდებს, ფიზიკურ-ქიმიური, იმუნოლოგიური და სხვა დიაგნოსტიკური კვლევის ტექნოლოგიებს მიკრობიოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენების გზით.

უნივერსიტეტი:

- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

**გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყვანებითი ეკოლოგია**

- პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ ფართო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას გარემოს დაცვის ტექნოლოგიის სფეროში, გარემოს კომპონენტების ხარისხის მაჩვენებლებისა და დამაბინძურებელი აგენტების წარმოქმნის წყაროების შესახებ. სტუდენტები შეძლებენ დაბინძურების კონტროლისა და შეფასების ძირითადი პრინციპების ამოხსნას.

უნივერსიტეტი:

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

აღნიშნულ საინფორმაციო შეხვედრებთან დაკავშირებით, საკონტაქტო პირია: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროექტის კოორდინატორი სოფიო ბერიშვილი, Sopia.berishvili@eiec.gov.ge



**სასწავლო ტური შვედეთში**

ტურის მიზანი დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლებისთვის, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება იყო



**სტოკჰოლმში ჩვეული, თოვლიანი გაზაფხული დაგვხვდა. ტემპერატურა -9 გრადუსს აღწევდა. საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს დელეგაცია შვედეთის ცნობილი და პოპულარული ეროვნული პარკების აღმოსაჩენად გავეშურეთ.**



სანამ ეროვნულ პარკებში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გაგიზიარებთ, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი, რაც სტოკჰოლმში ჩასვლისას თვალში გეცემათ, სისუფთავე და იდეალური წესრიგია. მოხდენილი სახურავებით დამშვენებული ფერად-ფერადი სახლები, მოკირწყლული ვიწრო ქუჩები, ლამაზი ვიტრინები, კაფეები, მაღაზიები. ამ ქალაქში ყველაფერი იმისათვის, რომ ადამიანმა თავი კომფორტულად იგრძნოს. სტოკჰოლმის ისტორიული ცენტრი გამლა სტანი ტურისტების საყვარელი ადგილია. სწორედ ამ ტერიტორიაზე იყო ჩვენი სასტუმრო, სადაც დაავინავდით. სასტუმროდან ასიოდ მეტრში მეფის სასახლე და ისტორიული ქალაქის უძველესი მოედანი მდებარეობდა.



**სასწავლო ტური პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება-საქართველო“ ფარგლებში გამართა და მისი მიზანი, სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლებისთვის, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება იყო.**

მეუხედავად იმისა, რომ გარეთ საკმაოდ ციოდა, ჩვენი სურვილი ვზიარებოდათ ახალ და საინტერესო გამოცდილებას, აღმოგვეჩინა და შეგვესწავლა ახალი ტერიტორიები, იმდენად დიდი იყო, სიცივე ვერაფერს გვაკლებდა.

**ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ყაზბეგის, ბორჯომ-ხარაგაულის, მარიამჯვრის, ბანარა-ბაბანეურის, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკების, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების წარმომადგენლები და სააგენტოს სხვა თანამშრომლები.**

შვედეთში ვიზიტისას, სტოკჰოლმის მიდამოებში, სამ ეროვნულ პარკს ვეწვიეთ, რომლებიც ერთმანეთისგან გასხვავდებოდნენ, როგორც ბიომრავალფეროვნებით და ლანდშაფტებით, ასევე მართვის ფორმითა და მიდგომებით.

პირველი გაჩერება ტირესტას ეროვნული პარკი იყო, სადაც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ირმების ჯოგებმა, რომლებიც გზად გვხვდებოდნენ. ნამდვილად სასიამოვნო და საოცარი სანახაობა იყო.

ტირესტას ეროვნული პარკის შესახებ წარმოდგენა ვიზიტორთა ცენტრში შესვლისთანავე შეგვექმნა. ერთ სივრცეში თვალსაჩინოდ იყო წარმოდგენილი პარკის შესახებ ინფორმაცია,

მრავალფეროვანი ვიზუალური მასალა, სხვადასხვა ასაკზე მორგებული ინტერაქციული ნიმუშები და ა.შ. შთაბეჭდავი იყო მეურნეობაც, რომელიც ვიზიტორთა ცენტრთან ახლოს მდებარეობდა და კარგად ასახავდა დაცული ტერიტორიების და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დადებითი ურთიერთგავლენის ეფექტს.

**ლევან საბანიძე - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დირექტორი:** „გულახდილად რომ ვთქვა, ვიზუალური თვალსაზრისით და ბიომრავალფეროვნების კუთხით, ჩვენი დაცული ტერიტორიები უფრო ეფექტური და მრავალფეროვანია. ჩემი ყურადღება მიიქცია, როგორც ადმინისტრაციული შენობის, ასევე ტურისტულ ბილიკებზე არსებული ინფრასტრუქტურის ხარისხმა, სიმატივემ და სისადავემ. ყველაფერი გათვლილია გრძელვადიან გამოყენებაზე. გარემოსადმი საზოგადოების დამოკიდებულება და მაღალი პასუხისმგებლობა, ამჟამად იგრძნობოდა ყველგან. ნათლად ჩანდა, რომ ყველა ერთად ზრუნავს გარემოზე“.

ჩვენი დელეგაციის მეორე გაჩერებას ტივედენის ეროვნული პარკი წარმოადგენდა. აქ მოგზაურობა, თითოეული ჩვენგანისთვის, განსაკუთრებული შთაბეჭდილებებით დასრულდა. პარკში ლაშქრობის შემდეგ, ემოციებით დატვირთულებმა, შეგრძნებები ერთმანეთს ულაპაპესი ტბის წინ, კოცონთან გაგვიზარეთ.

**გიორგი სიმონიშვილი - ბანარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების დირექტორი:**

„შთაბეჭდილებები არაჩვეულებრივი და სასიამოვნო გვაქვს. პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობის თვითშეგნების, კულტურის და ბუნების მიმართ სიყვარულის მაღალმა დონემ მოგვხიბლა. მეორე რაც მომეწონა, იყო ტირესტას პარკის ბილიკების მინიმალისტური ინფრასტრუქტურა - ფიცრებით და მოაჯირებით. ვფიქრობ, არის რაღაცეები, რისი განხორციელება ჩვენ ეროვნულ პარკებშიც კარგი იქნებოდა. განსაკუთრებით მომეწონა პარკებში არსებული სისუფთავე და მონესრიგებული გარემო. ხალხის თვითშეგნებიდან გამომდინარე, სამართალდარღვევები ფაქტობრივად არ აქვთ. საინტერესო წახალისების და მადლიერების გამოხატვის ფორმები აქვთ მრავალწლიანი სტაჟის (ღვანულმოსილი) მქონე თანამშრომლებისთვის“.

მესამე ეროვნული პარკი, რომელიც შვედეთში ვიზიტისას მოვინახულეთ, სანდემარის ნაკრძალი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ რაღაცით ქობულეთის დაცულ ტერიტორიას ჰგავდა. ნაკრძალი ბალტიის ზღვის მიმდებარეაა გაშლილი.

**ზვიად ტიგინაშვილი - მარიამჯვრის დაცული ტერიტორიების დირექტორი:**

„ძალიან საინტერესო გამოცდილება მივიღეთ შვედეთის ეროვნული პარკების დათვალერებით და მართვის პრინციპების გაცნობით. მინდა აღვნიშნო, რომ ერთადერთი რამაც ცოტა გამაკვირვა, ნეგატიური კუთხით, სანდემარის ნაკრძალის მიდგომა - რელიეფიდან და ნიადაგის სტრუქტურიდან გამომდინარე, ადგილზე დასაშვებია ჭრების ჩატარება - ხეების ჭრა, მეტი საძოვრების მისაღებად. მეუხედავად იმისა, რომ ეს მათთვის მისაღები და მომგებიანია, ამასთან

**გარემოდან ხეების ამოღებით, ეროზიების საფრთხე ძალიან დაბალია. ვფიქრობ, დღევანდელი კლიმატის ცვლილების ფონზე, ეს ქმედება გამართლებული არ უნდა იყოს“.**

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ეროვნულ პარკში, რომლებსაც ვეწვიეთ, ძალიან თბილი და ყურადღებიანი მასპინძლები დაგვხვდნენ. შვედ კოლეგებთან შეხვედრისას, გავცალკეთ ინფორმაცია საქართველოსა და შვედეთის ეროვნული პარკების შესახებ, ერთმანეთს გავზიარეთ ჩვენი გამოცდილება ეროვნული პარკების მართვის სპეციფიკის, ბიომრავალფეროვნების დაცვის, კონსერვაციული და ეკოტურისტული საქმიანობების მიმართულებებით.

**ზვიად ტიგინაშვილი - მარიამჯვრის დაცული ტერიტორიების დირექტორი:** „რაც ძალიან მომეწონა, სამივე დაცული ტერიტორიის ჰქონდა განსხვავებული სპეცტანსაცემელი, რაც, ჩემი აზრით, უფრო მეტად უსვამს ხაზს თითოეული პარკის ინდივიდუალიზმს. ამასთან, სამივე დაცულ ტერიტორიას გადამყვებილების მიღების ავტონომია და დეცენტრალიზებული მართვის ფორმა ჰქონდა. ვფიქრობ, გამოცდილების გაზიარება სასარგებლო იქნება ორივე მხარისთვის და ერთმანეთისგან ბევრს ვისწავლით“.

ჩვენი 5 დღიანი თავგადასავალი სტოკჰოლმსა და შვედეთის ეროვნულ პარკებში, დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით, ზღვა ემოციებით, საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის და გამოცდილების მიღებით დასრულდა. ზუსტად ვიცით, თითოეული ჩვენგანი, მიღებულ გამოცდილებას ჩვენს საქმიანობაში აუცილებლად გამოვიყენებთ.





# მზესუმზირას სარეველები

მზესუმზირას სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა. არქეოლოგიური გათხრებით დამტკიცდა, რომ ინდიელებმა მისი კულტივირება 2000 წელზე მეტი ხნის წინ დაიწყეს, ზოგი არქეოლოგი ამტკიცებს, რომ მზესუმზირას მოვლა-მოყვანა დაიწყო ხორბალზე უფრო ადრე. ინდიელები მას მიიჩნევდნენ მზის ღვთაების (ინტის ანუ პუნჩაოს) სიმბოლოდ, განსაკუთრებით აცტეკები, ოტომები (მექსიკაში) და ინკები (პერუში). მე-16 საუკუნეში მზესუმზირა ამერიკიდან ევროპაში გავრცელდა, სადაც მას „მზის ყვავილი“ უწოდეს.

საქართველოში მზესუმზირა უმეტესად მოჰყავთ კახეთის რეგიონში (დედოფლისწყარო, სიღნაღი, გურჯაანი); მოსავალს იღებენ კალათების ძირითადი მასის (80-90%) მურა ყვითლად ან მურად შეფერვისას; მზესუმზირა შეიცავს ბევრ სასარგებლო ნივთიერებას, ვიტამინსა და მინერალს: კალიუმს, ფოსფორს, მაგნიუმს, რკინას, ნატრიუმს, კალციუმს, ციხმებს, მეთიონინს, რომელიც სისხლში ქოლესტერინის დონეს არეგულირებს; მზესუმზირას ზეთს იყენებენ კულინარიაში, მისი ნაცრისგან მიღებული პოტასიუმი გამოიყენება ქიმიურ მრეწველობაში, ჩენჩოზე 10 %-იანი სინთეზური წებოს დამატებით და დაწნხით იღებენ მონაიკურ, ძვირფას ფილებს ავეჯისთვის და სხვა ნივთებს; კოპტონი, ჩენჩო, ბზე და სილოსი

ცხოველთა საკვებად გამოიყენება. მზესუმზირას დიდ ზიანს აყენებენ სარეველა მცენარეები: მზესუმზირას კელაპტარა (*Orobancha cumana* Wallr.), მდელოს თივაქასრა (*Poa pratensis* L.), ნაცარქათამა (*Chenopodium album* L.), ხვართელა (*Convolvulus arvensis* L.), ყვითელი ძურწა (*Setaria glauca* (L.) P.B.), შალაფა (*Sorghum halepense* L.), ყანის ბირკა (*Caucalis daucoides* L.), ბოლოკა (*Rapistrum rugosum* (L.) All.), წიწბატურა (*Capsella bursa-pastoris* (L.) Medic.), ჩვეულებრივი ჯიჯლაყა (*Amaranthus retroflexus* L.), ავშანფოთლიანი ამბროზია (*Ambrosia artemisiifolia* L.), ბეგაიური (*Galium aparine* L.) და სხვა.

ქვემოთ წარმოდგენილია მათი მოკლე დახასიათება.

## მზესუმზირას კელაპტარა - OROBANCHAE CUMANA WALLR.



ფესვის პარაზიტია, ნიადაგის ზემოთ ღერო თეთრი ფერისაა, შემდეგ იასამნისფერს იღებს, რომლის სიგრძე 50 სმ-ს შეადგენს; ყვავილი - მოცისფრო საყვირის ფორმის; ნაყოფი - ყავისფერი კოლოფი, ერთი მცენარე 40 კოლოფს ივითარებს, თითოეულ კოლოფში 2000 თესლია, მცირე ზომის მტვრისებური, ქინძისთავისებრ-მსხლისებრი, ოვალური, თითქმის სფეროსებური, ზედა ნაწილი ფართო, ქვედა შევიწროებული. ზედაპირი დანაოჭებული, ჭიპი სუსტად გამოხატული, მუქი ყავისფერი, მონაცრისფრო-ყავისფერი, სიგრძე 0.25-0.3 მმ, სიგანე 0.25 მმ, ერთი მცენარე ივითარებს 60000 - 100000 თესლს, სიცოცხლის უნარს ინარჩუნებს 12 წელი.

## მდელოს თივაქასრა - POA PRATENSIS L.



მრავალწლიანი, ფესურიანი, ერთ-ერთი ადრე საგაზაფხულო სარეველაა; ღერო სიმაღლით 30-90 სმ, იშვიათად 10-20 სმ; ფოთლები - ვიწრო, ხაზურა, სიგრძით 4 მმ, სუსტად შებუსული, ყვავილედი - საგველა, სიგრძით 20 სმ, თავთავი - კვერცხისებური, 2-5 ყვავილიანი, მწვანე, იშვიათად იასამნისფერი; მარცვალი - კილიანი, მოგრძო-ცილინდრული, მომწვანო-ნაცრისფერი, ყავისფერი, მოყვითალო-ყავისფერი, სიგრძე - 2.25-3 მმ, სიგანე - 0.5-0.75 მმ, მარცვალი ოვალურ-ცილინდრული, დანაოჭებული, ღია ან მუქი ყავისფერი, ერთი მცენარე ივითარებს 2000-5000 თესლს.

## ავშანფოთლიანი ამბროზია - AMBROSIA ARTEMISIIFOLIA L.



ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა, ძლიერ დატოტვილი, ნიადაგში აღწევს 4 მ-მდე; ღერო - სწორმდგომი, დატოტვილი, შებუსული, 0.1-2.5 მ სიმაღლის; ფოთლები - ერთი ან ორმაგ ფრთისებრდანაკვეთული, ქვედა მხრიდან შებუსული; ყვავილები - ყვითელი, კალათად შეკრებილი (ერთსახლიანი მცენარეა მდებარეობითი და მამრობითი ყვავილებით);

ნაყოფი - უკუკვერცხისებრი თესლურაა საბურველით, ცენტრში ერთი დიდი ქაცვით და 5-7 პატარა ქაცვებით ირგვლივ თესლის ზედა მრგვალ ნაწილზე; მომწვანო-მონაცრისფრო, ყავისფერი, სიგრძე 2.5-3.25 მმ, სიგანე და სისქე 1.5-2 მმ. ნაყოფს ანუ თესლურას ადვილად შორდება საბურველი, თესლი - უკუკვერცხისებრი, გლუვი, ბზინვარე, ყავისფრიდან შავამდე, სიგრძე 1.5-2.2 მმ, სიგანე და სისქე 1-1.5 მმ. ყვავილობა - ივლისის ბოლო, აგვისტო; ნაყოფს იძლევა სექტემბერ-ოქტომბერში.

## ბოლოკა - RAPISTRUM RUGOSUM (L.) ALL.



ერთწლიანი, მოზამთრე სარეველაა ჯვაროსანთა ოჯახიდან, ფესვი - მთავარღერძა, ძლიერი; ღერო - სწორი, სუსტად დაღარული, დატოტვილი, 30-100 სმ სიმაღლის; ფესვთან მდებარე ფოთლები, ყუნწიანია, მუქი მწვანე, ზოგჯერ მოწითალო ელფერი. ზედა ფოთლები - მოგრძო ლანცეტისებრი ან ოვალური დაკბილული; ყვავილი - ყვითელი, ღეროს ბოლოში განლაგებული, ყვავილობს მას-აგვისტოში; ნაყოფი - ჭოტაკი შედგება ორი ნაწილისგან, ზედა - მომრგვალო კაკლუჭაა, ქვედა ცილინდრული, ზედაპირი დანაოჭებული, ნაცრისფერ-ჩალისფერი, ხშირად შავი წერტილებით, სიგრძე - 3-4 მმ, სიგანე - 2-3 მმ, თესლი ოვალური ყავისფერი, გლუვი, მწიფდება ივლის-სექტემბერში.

## ნაცარქათამა - CHENOPODIUM ALBUM L.



ერთწლიანი, ბალახოვანი, საგაზაფხულო სარეველაა; ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, მომწვანო-მონაცრისფრო, სიმაღლე - 20-100 სმ; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, კვერცხისებურ-რომბისებური, დაკბილული; ყვავილედი - თავთავისმაგვარი, სიგრძე - 10-40 სმ, ყვავილობს ივლის-აგვისტოში; თესლურა - მომრგვალო, წვრილი, შავი, დიამეტრით 1.5 მმ, ერთ მცენარეზე ვითარდება 100 000 თესლი, აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 8 წელიწადს.

## ხვართელა - CONVULVULUS ARVENSIS L.



მრავალწლიანი ბალახოვანი, ფესურიანი, აბეზარი, შხამიანი სარეველაა ხვართელასებრთა ოჯახიდან; ღერო - ხვიარა შიშველი წვრილი, სიმაღლე - 1 მეტრი; ფოთლები - ვიწრო შუბისმაგვარი; ყვავილი - თეთრი ან ვარდისფერი; ნაყოფი - კოლოფი, მონაცრისფრო-მწვანე, მონაცრისფრო - ყავისფერი, ნაცრისფერი, მომრგვალო-ოვალური, ხაოიანი ზედაპირით, სიგრძე - 6-7.5 მმ, სიგანე - 6.5 მმ, თესლი უკუკვერცხისებრი, სამწახნაგოვანი, ზედაპირი - გლუვი, მონაცრისფრო-ყავისფერი, მუქი ნაცრისფერი, თითქმის შავი, სიგრძე - 2.5-3.5 მმ, სიგანე - 2-2.5 მმ.

## ყვითელი ძურწა - SETARIA GLAUCA (L.) P.B.



ერთწლიანი მარცვლოვანი საგაზაფხულო სარეველაა, გვალვაგამძლე; ფესვი - ფუნჯა, ღერო - სწორმდგომი, სიმაღლით 10 - 60 სმ; ფოთლები - ლანცეტისებრი, მოყვითალო - მომწვანო; ყვავილედი - თავთავი, სიგრძით 4-6 სმ; მარცვალი - კვერცხისებურ-ოვალური ფორმის, მოყვითალო-მომწვანო ან მუქი ყავისფერი, სიგრძე - 2-2.75 მმ, სიგანე - 1.5-1.75 მმ, სიცოცხლისუნარიანობა 30 წელია.

## შალაფა - SORGHUM HALEPENSE (L.) PERS.



მიეკუთვნება მარცვლოვანთა ოჯახს, ფესურიანი სარეველაა, აბეზარი; ღერო - სწორმდგომი, 2 მ-მდე; ფოთლი ლანცეტისებრი; ყვავილედი თავთავი; ნაყოფი - მარცვალი, მოგრძო კვერცხისებური, ყავისფერი, სიგრძე - 5-6 მმ, სიგანე - 2 მმ, ერთ თავთავში 500-800-მდე მარცვალია.

## ყანის ბირკა - CAUCALIS DAUCOIDES L.



ერთწლიანი სარეველა მცენარეა ქოლგოსანთა ოჯახიდან; ფესვი - წვრილი, მარტივი; ღერო - სწორი, დატოტვილი, 10-40 სმ სიმაღლის, ეკლიანი; ფოთლები - 2-3 ფრთისებრ დანაკვეთული; ყვავილები - თეთრი ან მოწითალო, შეკრული ქოლგად, ყვავილობს ივნის - ივლისში. ნაყოფი (თესლი) კვერცხისებრი, ყავისფერი, ეკლისებური გამონაზარდებით, სიგრძე - 10 მმ, სიგანე - 5 მმ.

## წიწბატურა - CAPSELLA BURSA-PASTORIS (L.) MEDIC.



ერთწლიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა ჯვაროსანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, მარტივი, დატოტვილი, სიმაღლე 20-60 სმ; ფოთლი - მორიგეობით განლაგებული, მჯდომარე, მოგრძო-ლანცეტისებრი; ყვავილი - წვრილი, თეთრი ფერის, ყვავილობს აპრილიდან აგვისტომდე; ნაყოფი - ჭოტაკი, სიგრძე 5-8 მმ, უკულმა სამკუთხა-გულისებრი; თესლი - მოყავისფრო-მოყვითალო, ოვალური, სიგრძე - 1-2.5 მმ, სიგანე - 0.5-0.7 მმ, მწიფდება მაისიდან სექტემბრამდე, ერთი მცენარე იძლევა 70 000 თესლს.

## ჩვეულებრივი ჯიჯლაყა - AMARANTHUS RETROFLEXUS L.



ერთწლიანი საგაზაფხულო სარეველაა; ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, მარტივი ან დატოტვილი, ღია მწვანედან მოწითალომდე, სიმაღლე - 20-150 სმ; ფოთლები - კვერცხისებრომბისებრი; ყვავილედი - ცილინდრული, მწვანე ფერის, ყვავილობს ივნის-სექტემბერში; თესლი - მომრგვალო, მუქი ყავისფერი, პრიალა, დიამეტრით 1 მმ; ერთი მცენარე იძლევა 5 000 თესლს.

## ბეგაიური - GALIUM APARINE L.



ერთწლიანი, შხამიანი, ბალახოვანი სარეველაა ენდროსებრთა ოჯახიდან, ღეროს სიმაღლე 30-80 სმ; ფოთლი ვიწრო ლანცეტისებრი; ყვავილი - წვრილი თეთრი, ყვავილობს ივლის-აგვისტოში; ნაყოფი - კაკლუჭა, მომრგვალო, აქვს ამონაკვეთი, მონაცრისფრო-ყავისფერი, დაფარულია ჯაგრებით, სიგრძე - 1.75-3 მმ, სიგანე - 1.25-2.25 მმ; თესლი ნაყოფის მაგვარი, ჯაგრების გარეშე.





# კოლხური ბზა ნითილი ნუსხით დაცული სახეობაა, რომელის გადაშენების საფრთხის პირასაა



ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განსაკუთრებით ამკაცრებს კონტროლს ბზის მოჭრაზე და სამართალდამრღვევზე ვრცელდება კანონით დადგენილი სანქციები.

**ტყეში ბზის მოჭრა, ამოძირკვა ან ტოტების დაზიანება დასჯადი ქმედებაა და აღნიშნულზე გათვალისწინებულია, როგორც ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომები. საჯარო სანქციების ოდენობა 500-დან 2000 ლარამდეა, ხოლო, თუ გარემოსათვის მიყენებული ზიანი აჭარბებს 1000 ლარს - აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე.**

ბზა შესადლებელია მოპოვებული იყო მხოლოდ კერძო საკუთრებაში არსებული სანერგებიდან, ხელოვნურად გაშენებული პლანტაციებიდან - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ადგილწარმოშობის ცნობის საფუძველზე.

ბრძოლის ღონისძიებებში ჩართულია ყველა პასუხისმგებელი უწყება: ეროვნული სატყეო სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობა, აფხაზეთისა და აჭარის ა/რ შესაბამისი ორგანოები.

**კოლხური ბზის ინვაზიური მავნებელი ბზის ალურა - *Cydalima perspectalis* საქართველოში პირველად 2014 წელს დაფიქსირდა (სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, კინტრიშის ეროვნულ პარკი). 2015 წელს კი, ეს მავნებელი გავრცელდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის**

## დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე.

ბზის ალურას სამშობლოა ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია. იქიდან გამოდინარე, რომ მაგალითად, ჩინეთში მაღალგანვითარებულია დეკორატიული მცენარეებით საერთაშორისო ვაჭრობა, მცენარეები ვარაუდობენ, რომ სწორედ ასეთი გზით მოახერხა მავნებელმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოხვედრა, კერძოდ: 2007 წელს დაფიქსირდა გერმანიაში, შემდგომ გავრცელდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში. 2008 წელს ბზის ალურა აღმოჩნდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ცნობილია, რომ 2012 წელს, სოჭში დაგეგმილი ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის, გამწვანების მიზნით, იტალიიდან შეძენილ დეკორატიულ მცენარეებს შორის იყო ასევე ბზის ნერგებიც, რომელთაც ვექტორის როლი ითამაშეს და მცენარეებთან ერთად, მოხდა მავნებლის ინვაზია. მომდევნო წლების განმავლობაში კი, ბზის ალურამ შეძლო ნელ-ნელა გავრცელება შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ: აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში.

**სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ 2016 წლიდან დაიწყო აღნიშნული მავნებლის წინააღმდეგ სხვადასხვა ღონისძიების გატარება (ბიოლოგიური ინსექტიციდით წამლობა, ფერომონიანი მწერმჭერები, ღამის განათების გამოყენება). აღნიშნული მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები განხორციელდა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის რეგიონებში.**

2019 წელს ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში გამართულ I სამუშაო ჯგუფის - „ტყის აღდგენა და დაცვა“ შეხვედრის საფუძველზე, თემაზე: „კოლხური ბზის მავნებელ-დაავადებასთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების განსაზღვრა“, აქცენტირებული იყო კოლხური ბზის ზოგიერთი კორომის ქიმიური ინსექტიციდით წამლობა, კორომების კონსერვაციისა და სამომავლოდ თესლის ან

კალმის აღების შესადლებლობის მიზნით.

სამუშაო ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სპეციალისტების მიერ, შერჩეული იქნა რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში, კერძოდ: ამბროლაურის სატყეო უბნის თლუღისა (10 ჰა) და ნიკორწმინდის (2 ჰა) სატყეოებში არსებული კოლხური ბზის კორომი, რომლის სანიტარული მდგომარეობა სხვა კორომებთან შედარებით დამაკმაყოფილებელი იყო და რომელიც მოშორებული იყო დასახლებული პუნქტიდან ან/და საძოვრებიდან.

**კორომის ქიმიური ინსექტიციდით წამლობა იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ 2020-2023 წლების მონიტორინგის შედეგად, აღნიშნულ ფართობებზე ბზის ინვაზიური მავნებლის, ბზის ალურას არსებობის დამადასტურებელი ნიშნების პოვნა ვეღარ მოხერხდა.**

შესაბამისად, მიმდინარე 2024 წლისათვის გეგმიური წამლობითი ღონისძიებები აღარ დაიგეგმა. თუმცა, სპეციალისტების მიერ მიმდინარე წლის მანძილზე ნაქერალას ქედის ტერიტორიაზე მრავალჯერადი სავლე მონიტორინგი ჩატარდება, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში (მავნებლის კვლავ დაფიქსირების შემთხვევაში), დაიგეგმება და განხორციელდება კორომის წამლობითი სამუშაოები.



## ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის გეგმით გათვალისწინებული საინვენტარიზაციო საუბრაოები დაიწყო

ქვემო ქართლის რეგიონის 5 მუნიციპალიტეტში: ბოლნისის, თეთრიწყაროს, წალკის, გარდაბნის და დმანისის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე წელს განხორციელდება არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაცია, რაც კამში 2,999.52 ჰექტარს შეადგენს.

სახელმწიფო პროგრამა 2021 წელს დაიწყო. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში ინვენტარიზებულია სულ 3989.83 ჰა ფართობის ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლი. ეს ნიშნავს, რომ უკვე არსებობს ინფორმაცია აღნიშნულ ფართობზე განლაგებული ქარსა-

ფარი ზოლების შესახებ: ნაკვეთების მიხედვით მცენარეული საფარის მდგომარეობის, მერქნიანი მცენარეების რაოდენობის, ხნოვანების, სახეობების აღწერილობის.

გარდა ამისა, განსაზღვრულია გამოვლენილი ქარსაფარი ზოლების ვარგისიანობა. პროგრამის მოთხოვნით, ინვენტარიზებულ ნაკვეთებზე კეთდება საკადასტრო აზომვითი ნახაზები და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირდება როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქარსაფარი ზოლი. 2023 წელს ინვენტარიზებული დედოფლისწყაროს, ქარელის, კასპისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების ქარსაფარების რეგისტრაცია მიმდინარე წელს დაიწყება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში ინვენტარიზებული და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ქარსაფარი ზოლების შესახებ მონაცემები:

ინვენტარიზაციის წელი	მუნიციპალიტეტი	ინვენტარიზებული ქარსაფარები		საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ქარსაფარები	
		ნაკვეთების რაოდენობა	ნაკვეთების ფართობი (ჰა)	ნაკვეთების რაოდენობა	ნაკვეთების ფართობი (ჰა)
2021	თელავი		355.08	1151	326.44
2022	მარნეული		345	594	322.06
	საგარეჯო		571	444	417.08
2023	დედოფლისწყარო	1232	1503.3	364	651.17
	ქარელი	1896	499.73		
	კასპი	1409	560.83		
	დუშეთი	479	154.89		
	სულ	5016	3989.83	2553	1716.75







# საქართველოს ბიომრავალფეროვნება

საქართველოს ფრინველთა სამყარო საკმაოდ მრავალფეროვანია, ფართოდაა წარმოდგენილი როგორც ენდემური, ისე სხვადასხვა ქვეყნისთვის დამახასიათებელი სახეობები. გაგაცნობთ საქართველოს ფაუნის გამორჩეულ წარმომადგენლებს: ალკუნსა და გუგულს.



**ალკუნი (ALCEDO)**



**გუგული (CUCULUS CANORUS)**

**ალკუნი**

ალკუნს ახასიათებს სწორი, მახვილი ნისკარტი და მოკლე კუდი. ბინადრობს წყალსატევებთან ახლოს, იკვებება თევზით, კიბოსნაირებითა და წყლის მწერებით.

ალკუნი „მეფურ მოთევზავედ“ არის აღიარებული, მსხვერპლის დანახვისას სწრაფად ყვინთავს წყალში, ბასრი ნისკარტით ეჭიდება და უკან ნადავლთან ერთად ამოფრინდება. მისი სხეულის სიგრძე 17-19 სმ-ია, ფრთებს შლის 24-26 სმ-ზე. მისი ჰაბიტატია მდინარეები და წყალსაცავები. საინკუბაციო პერიოდი - 18-21 დღე.

**გუგული**

გუგული შორიდან ჰგავს მიმინოს, თუმცა ზომით პატარაა. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში.

საქართველოში რეგისტრირებულია, როგორც მოზაფხულე გადამფრენი ფრინველი. ბინადრობს ფოთლოვანსა და შერეულ ტყეებში. გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში ბელურას-ნაირთა ბუდეებში დებს 12-25 კვერცხს.

საქართველო ასევე მდიდარია მცენარეებით, რომელთა გავრცელების თავისებურებასა და მრავალფეროვნებას ეკოლოგიური პირობები განაპირობებს, ჰავისა და რელიეფის ნაირგვარობა, გეოლოგიური აგებულება, გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა. საქართველოში მრავლადაა, როგორც ენდემური და რელიქტური, ასევე ადვენტური სახეობის ბუნებრივი და კულტურული მცენარე. საქართველოს მცენარეული საფარის 380-მდე სახეობა ენდემური წარმოშობისაა, ამასთან, ზოგიერთი მათგანი რელიქტურ მცენარეებსაც მიეკუთვნება.



**ჩვეულებრივი მურყანი (ALNUS GLUTINOSA)**



**ჩიტისთავა (GAGEA COMMUTATA)**

**ჩვეულებრივი მურყანი**

ჩვეულებრივი მურყანი *Alnus glutinosa*, - კოლხური ფლორის რელიქტი, ჭალის და მთისწინეთების ტყეების ერთ-ერთი მთავარი ტყისშემქნელი სახეობა.

ფირფიტა 7-12 სმ სიგრძის და 4-8 სმ სიგანის. ყვავდება მარტ-აპრილში, ნაყოფმსხმოიარობს აგვისტო-ოქტომბერში. გავრცელებულია კავკასიაში, ევროპაში, მცირე აზიასა და ჩრდილოეთ ირანში. საქართველოში ყველა რეგიონში გვხვდება, ჯავახეთის გარდა. იზრდება დაბლობებში, მთაში ზღვის დონიდან 1800 მეტრს აღწევს. მედიცინაში გამოიყენება მურყანის ქერქისა და გირჩაკის (ნაყოფის) ნაყენი.

ეს მცენარე ტყის ეკოლოგიური მდგომარეობის ინდიკატორია, რადგან ხშირ შემთხვევაში, პირველადი ტყეების ადგილს იკავებს. ფოთლები სუსტად შეებურვილი ან შიშველია, ფოთლის

**ჩიტისთავა**

ჩიტისთავა მშრალი ფერდობებისთვის და ბუჩქნარებისთვის დამახასიათებელი მცენარეა. ყვავის გაზაფხულზე და ქმნის საინტერესო პეიზაჟებს.

იგი აპრილის თვეში გარემოს ყვითლად მოსავს. მცენარეთა გვარი შრომანისებრთა ოჯახისაა. მათი ყვავილსაფრის ფოთოლაკი ყვითელი

ან თეთრია და დაყვავილების შემდეგ ზედვე რჩება. გვხვდება დაბლობიდან მოკიდებული ალპურ სარტყელამდე ველებსა და კლდოვან ადგილებზე, ტყეებსა და ბუჩქნარებში, მდელოებზე, ხშირად თოვლთან ახლოს, სახეობათა მეტი წილი უფრო აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. კახეთში მისი ნახვა შესაძლებელია ტარიბანაზე, ვაშლოვანის და ცულ ტერიტორიაზე. გავრცელებულია აგრეთვე ქართლსა და ჯავახეთში.

